# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბოჭდ-ვუნი სიფცვაა, ფცუილებით და ჭიბებით ბუტ-თის გაფანა ყვეოა უკარტისობაზე უსაძაგლესია.

სამშაბათი, 5 თებერვალი. 2019 წ. №24 (8690) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი


## პარლამენტი ქუთაისიდან თბილისში დაბრუნდა!

**საქართველოს პარლამენტი ქუთაისიდან თბილისში დაბრუნდა. 2012 წლის შემდეგ პირველად, პარლამენტის პლენარული სხდომა თბილისში მდებარე სასახლეში გაიმართება, დეპუტატები საგაზაფხულო სესიაზე დღეს დედაქალაქში შეიკრიბებიან, გუშინ კი ბიუროს სხდომა გაიმართა.**

საგაზაფხულო სესიის მნიშვნელოვანი თემები იქნება პრეზიდენტის და პარლამენტის თავმჯდომარის ყოველწლიური მოხსენებები. ოპოზიცია მიმდინარე პერიოდში საარჩევნო კოდექსის შეცვლის და პროპორციულ სისტემაზე გადასვლის საკითხის გააქტიურებას გეგმავს. რეგისტრაციის შემდეგ საკითხს საპროცედურო საკითხთა კომიტეტი განიხილავს და ოპოზიციას ხელმოწერების შესაგროვებლად საჭირო ბლანკები გადაეცემა.

## ანკარაში ქართული წირვა-ლოცვა პირველად აღევლინა

**საქართველოს საპატრიარქოს, საქართველოს საელჩოსა და ანკარაში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების ერთობლივი ძალისხმევით, ანკარის წმ. ტერეზას სახელობის ტაძარში მამა მიქაელმა (ბრეგვაძე) პირველად აღავლინა ქართული წირვა-ლოცვა.**

წირვის დასრულების შემდეგ თურქეთში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა გიორგი ჯანჯღავამ მრევლს სიტყვით მიმართა და კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა საელჩოსა და საქართველოს მოქალაქეებს შორის კომუნიკაციის მნიშვნელობას. სიტყვით გამოსვლისას ელჩმა აღნიშნა, რომ საქართველოს საელჩო როგორც ყოველთვის, მზად არის დახმარება გაუწიოს საქართველოს მოქალაქეებს მათი კანონიერი ინტერესებისა და უფლებების დაცვის თვალსაზრისით.

### ეს აღარ უნდა განმეორდეს!

## მეხსიერების ბარათი:



## დავრჩი უსამსახურო, ნასამართლევი...

## ახლობლების 4 დახმარებით ვფარავ ბანკიდან აღებულ ვალს...

### მიიტანეთ ხალხამდე სიმართლე

## კადრები, რომლებიც 5 ყველაფერს კადრულობენ

8

## „განაჩენი საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება“

## პრემია „წიგნის ქომაგი 2019“ მამუკა ხაზარაძეს გადაეცა 7

### ზურაბ დათუნაშვილი: 9

## „ან კარიერა უნდა დავასრულო, ან სხვა ქვეყნის სახელით ასპარეზობაზე ვიფიქრო“

## ოთარ ჩხეიძე: 6

## სავიზიტო ბარათი დასავლეთთან

# 2019-2020 წლებში სვანეთში მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდება

**საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ თეთნულდისა და ჰაწვალის სამთო-სათხილამურო კურორტების დათვალიერების შემდეგ განაცხადა, გზების მშენებლობაზე 100 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯება.**

პრემიერ-მინისტრის შეფასებით, მთავარი ამოცანაა, მოწესრიგდეს გზები და ინფრასტრუქტურა, იმისათვის, რომ მოქალაქეებმა და ტურისტებმა უფრო მოკლე დროში შეძლონ სვანეთში ასვლა.

**„ძალიან მიხარია, რომ ამ ულამაზეს კუთხეში, სვანეთში ტურისტების რაოდენობა ბოლო წლების განმავლობაში ასე გაიზარდა. ის პროექტები, რომელიც ჩვენ განვახორციელეთ, ნამდვილად დადებითად აისახა სვანეთის ტურისტულ პოტენციალზე. მეტიც, თვალსაჩინოა, რომ არსებული ინფრასტრუქტურა ტურისტების ნაკადის მომსახურებისთვის საკმარისი არ არის. განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ მესტია უკვე ოთხსეზონიან კურორტად გადაიქცა. ის საბაგირო გზები, რომელიც თეთნულდზე ავაშენეთ, იყო ძალიან მნიშვნელოვანი, მაგრამ ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯებია. ჩვენ ამ ულამაზესი კუთხის პოტენციალის ხუთ პროცენტსაც კი ვერ ვიყენებთ. უკვე თითქმის 200 საოჯახო სასტუმროა გახსნილი მესტიაში და ეს ძალიან დიდი წარმატებაა, მაგრამ ეს ჩვენი პოტენციალის მხოლოდ 5 პროცენტია. წინ უფრო მეტი წარმატება გველის“,** – განაცხადა პრემიერმა.

მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ დასრულებულია მუშაობა სივრცითი მოწყობის გეგმაზე, რაც კურორტის გეგმაზომიერ განვითარებას უზრუნველყოფს.

**„ჩვენ არ უნდა დავუშვათ ის შეცდომები, რომელიც იყო დაშვებული სხვა კურორტებზე წლების წინ. ეს სივრცითი მოწყობა იქნება სწორედ იმის გარანტი, რომ სვანეთი შეინარჩუნებს თავის უნიკალურ არქიტექტურას და ბუნებას, მაგრამ პარალელურად აუცილებლად განვავითარებთ ტურისტულ ინფრასტრუქტურას“,** – განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

* * *

**მთავრობის მეთაური უშგულის ლამარიას – ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის ეზოში ადგილობრივ მცხოვრებლებს შეხვდა, მათ პრობლემებს გაეცნო და მოსახლეობისგან წინადადებები მოისმინა.**

ადგილობრივების ძირითად პრობლემას გზების მოწესრიგება, უძველესი კოშკების აღდგენა-გამაგრება, წყლის სისტემის გაუმართაობა და ელექტრობოძებისა და გაყვანილობის რეაბილიტაცია წარმოადგენს.

მოსახლეობა ასევე დაინტერესდა პროგრამით, რომელიც საოჯახო სასტუმროების განვითარების ხელშეწყობას ისახავს მიზნად. პრემიერ-მინისტრმა მათ პროგრამის შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდა. უშგულის მცხოვრებლების თხოვნის შესაბამისად, მთავრობის მეთაურმა შესაბამის უწყებებს უკვე დაავალა, რომ ელექტროენერგიის მიწოდებისა და წყალმომარაგების სისტემაში არსებული შეფერხებები უახლოეს მომავალში აღმოიფხვრას.

# მამუკა ბახტაძე: ახალი, მძლავრი საზღვაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა იწყება!




**ახალი, მძლავრი საზღვაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია ჩვენი ქვეყნის ევროპისა და აზიის დამაკავშირებელ სატრანსპორტო დერეფნად ჩამოყალიბების საქმეში,** – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ ამერიკის შეერთებული შტატების კერძო უცხოური ინვესტიციების კორპორაციასა (OPIC) და პეის ჯგუფს შორის 50-მილიონიანი ხელშეკრულების გაფორმებისადმი მიძღვნილი ღონისძიების გახსნისას განაცხადა.

ხელშეკრულება ქალაქ ფოთში ახალი პორტისა და ტერმინალის მშენებლობას გულისხმობს, რასაც OPIC-ი დააფინანსებს.

მთავრობის მეთაურის შეფასებით, ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენა, ვინაიდან საქართველოს რეგიონის ეკონომიკურ ცენტრად გარდაქმნის პროცესში ლოგისტიკას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

**„ეს იქნება თანამედროვე სატერმინალო კომპლექსი, რომელიც მასშტაბურ ცვლილებებს მოუტანს ქვეყნის და რეგიონულ ეკონომიკას. დარწმუნებული ვარ, ეს პროექტი გახდება ერთ-ერთი სამაგალითო არა მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში, არამედ მთლიანად რეგიონში. ამერიკის მთავრობის საფინანსო ინსტიტუტის მონაწილეობა ამ პროექტში და OPIC-ის მიერ გამოყოფილი 50-მილიონიანი დაფინანსება კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისთვის საქართველო არის სანდო და მნიშვნელოვანი პარტნიორი. ჩვენ არაერთხელ განვაცხადეთ, რომ საქართველოსა და აშშ-ს შორის ურთიერთობა ასეთ მაღალ დონეზე არასოდეს ყოფილა. ჩემთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ეკონომიკური განზომილება ჩვენს ურთიერთობებში უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება“,** – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

**„OPIC-ს ძალიან მნიშვნელოვანი გეგმები აქვს საქართველოსთან დაკავშირებით. ჩვენ ძალიან მადლიერები ვართ ჩვენი ამერიკელი მეგობრების, რადგან მათ მიიღეს გადაწყვეტილება, გაზარდონ დაფინანსება საქართველოსთვის, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. მინდა, მადლობა გადავუხადო „პეის ჯგუფს“ ამ მნიშვნელოვანი პროექტისთვის და აღვნიშნო, რომ ამ ჯგუფს საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს და უკვე მრავალი წელია, საქმიანობს ამ სფეროში. მინდა, ხაზგასმით ვთქვა, რომ ახალი, მძლავრი საზღვაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია ჩვენი ქვეყნის ევროპისა და აზიის დამაკავშირებელ სატრანსპორტო დერეფნად ჩამოყალიბების საქმეში, მით უფრო, რომ ჩვენ გვაქვს მიზანი, საქართველო გახდეს რეგიონული ეკონომიკური ცენტრი და რეგიონული ჰაბი ლოგისტიკასა და ტრანსპორტში“,** – განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

ღონისძიებას საქართველოს პრეზიდენტი, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წევრები, აშშ-ის ელჩის მოვალეობის შემსრულებელი და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები დაესწრნენ.

# თბილისის მეტროს ორი განახლებული მოძრავი შემადგენლობა დაემატა

**თბილისის მერმა კახა კალაძემ ელექტრომოძრავი შემადგენლობის სარემონტო ქარხანაში განახლებული ვაგონები დაათვალიერა და ახალი მატარებლით იმგზავრა.**

როგორც კახა კალაძემ განაცხადა, უახლოეს პერიოდში, მეტროს ახალი შემადგენლობები კიდევ დაემატება.

**„სატრანსპორტო პოლიტიკის მოწესრიგება ჩვენთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. არაერთხელ გვითქვამს, რომ გვინდა, 2018 წლის ბოლოსთვის ავტობუსების პარკი მთლიანად ჩავანაცვლოთ და ახალი, ევროპული, ევრო 6-ის ტიპის ავტობუსები შემოვიყვანოთ. ასევე, ვმუშაობთ მეტროს ვაგონების რეაბილიტაციისა და სადგურების მოწესრიგების მიმართულებით.**

**დღეს მეტროს ერთი ახალი შემადგენლობა დაემატა. შემადგენლობების დამატების მიზანი მოცდის პერიოდის შემცირებაა, განსაკუთრებით, პიკის საათებში. ბოლო ერთი წლის განმავლობაში მეტროს მგზავრთა რაოდენობა 25%-ით გაიზარდა და ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ თუ მაგალითად, პიკის საათებში მოცდის დრო 4 წუთი იყო, დღეს 3 წუთია და გვინდა, ეს მაჩვენებელი 2.5 წუთამდე დავიყვანოთ. მეტროთი და ავტობუსებით მგზავრობა ქალაქში უნდა იყოს ყველაზე კომფორტული და სწრაფი. ამ მიმართულებით მნიშვნელოვან ნაბიჯებს ვდგამთ. ორიოდე კვირაში ორივე ხაზს კიდევ თითო ახალი შემადგენლობა დაემატება და ჩვენ ამ მიმართულებით მუშაობას ვაგრძელებთ“,** – განაცხადა კახა კალაძემ.

**თბილისის მეტროს პირველ ხაზზე დამატებით ერთი – ოთხვაგონიანი, ხოლო საბურთალოს ხაზზე – სამვაგონიანი განახლებული მოძრავი შემადგენლობა იმოძრავებს.**

**ვაგონების მოდერნიზაციის ფარგლებში შეიცვალა მემანქანის კაბინის ფორმა, გაიზარდა მისი მოცულობა და მასში დამონტაჟდა თანამედროვე კონდიცირების სისტემა; კაბინები, ასევე, აღიჭურვა მართვის თანამედროვე პულტით; შეიცვალა ვაგონების გარე და შიდა დიზაინი და ფერები; სალონში ძველი სანათები შეიცვალა დიოდური სანათებით; დამონტაჟდა შიდა, დაკვირვებისა და ბაქანის საკონტროლო გარე კამერები; მგზავრების კომფორტისთვის ვაგონებში განთავსდა სპეციალური მონიტორები და მობილური მოწყობილობების დასატენი USB შესაერთებლები; მოძველებული მექანიკური დეტალები სრულად შეიცვალა თანამედროვე სტანდარტების მიკროპროცესორული სქემებით აღჭურვილი კვანძებით; განახლდა მატარებელთა მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველმყოფი ავტომატური სისტემები, რაც ითვალისწინებს მოძრავ შემადგენლობებს შორის უსაფრთხო ინტერვალის პრინციპს.**

მეტროს მოძრავი შემადგენლობის განახლებისა და მოდერნიზაციის პროექტის ფარგლებში, თბილისის სატრანსპორტო კომპანია, თბილისის მერიის მხარდაჭერით, 2019 წელს, დამატებით, 27 ვაგონის განახლებას გეგმავს. **ელექტრომოძრავი შემადგენლობის სარემონტო ქარხანაში განახლებული ვაგონები მერთან ერთად გლდანის რაიონის გამგებელმა ბექა მიქაუტაძემ და რაიონის მაჟორიტარმა დეპუტატებმა – კობა კობალაძემ და შალვა ოგბაიძემ დაათვალიერეს.**

## გიორგი ქობულია: „პეის ტერმინალის“ პროექტი დაგვეხმარება, კიდევ უფრო გავზარდოთ სატრანზიტო ტვირთების ბრუნვა

**„პეის ტერმინალის“ პროექტი დაგვეხმარება, კიდევ უფრო გავზარდოთ სატრანზიტო ტვირთების ბრუნვა. საუბარია მშრალ ტვირთებზე, სასუქებზე, რომელიც ცენტრალური აზიიდან წამოვა. ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ საქართველოზე გაიაროს ამ სტრატეგიულმა მარშრუტმა“,** — განაცხადა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა გიორგი ქობულიამ აშშ-ის კერძო უცხოური ინვესტიციების კორპორაციის (OPIC) მიერ „პეის ტერმინალის“ პროექტის დაფინანსებაზე ხელშეკრულების ოფიციალური ცერემონიის შემდეგ, რომელიც სასტუმრო „ბილტმორში“ გაიმართა.

OPIC-ი „პეის ჯგუფის“ საზღვაო ტერმინალის მშენებლობის პროექტს ქალაქ ფოთში 50 მლნ აშშ დოლარით დააფინანსებს. პროექტის საერთო ღირებულება 120 მლნ აშშ დლარია.

## ლევან დავითაშვილი იაპონელ მეღვინეებს შეხვდა

**მეღვინეობით სახელგანთქმული იაპონური ქალაქის კაცუნუმას და ქალაქ თელავის მეგობარი ქალაქების სტატუსის მინიჭების საკითხი განიხილეს შეხვედრაზე, რომელსაც გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი და იაპონელი მეღვინეების დელეგაციის წევრები ესწრებოდნენ.**

დელეგაციას იამანაშის პრეფექტურაში მდებარე კაცუნუმა ჯოზოს მეღვინეობის პრეზიდენტი არუგა იუჯი ხელმძღვანელობდა. შეხვედრაზე ლევან დავითაშვილმა ვრცლად ისაუბრა მსოფლიო მასშტაბით ქართული ღვინის კულტურის მნიშვნელობის შესახებ

და ყურადღება დარგის მარეგულირებელი სახელმწიფო უწყების ღვინის ეროვნული სააგენტოს საქმიანობაზე გაამახვილა.

**„მივესალმებით მჭიდრო კავშირების არსებობას ღვინის წარმოებით სახელგანთქმულ ქალაქებსა და მეღვინეებს შორის. ჩვენი დიდი სურვილია მეღვინეთა საზოგადოებებთან მჭიდრო კომუნიკაცია“,** — განაცხადა ლევან დავითაშვილმა. მინისტრმა დელეგაციის წევრებს გაზაფხულზე, ქალაქ ტოკიოში დაგეგმილი ქართული ღვინის კულტურის პრეზენტაციის შესახებ მიაწოდა ინფორმაცია და ღონისძიებაზე მიიწვია.

## მთიან აჭარას ახალი ტურისტული მიმართულება დაემატება

**აჭარის** ტურიზმის დეპარტამენტმა ჭვანის ხეობის ტურისტული განვითარების გეგმაზე მუშაობა დაიწყო, რომლის მიზანიც შუახევის მუნიციპალიტეტში ახალი, საინტერესო ტურისტული მიმართულების ჩამოყალიბება, ეკოტურიზმის, სოფლის ტურიზმისა და ხეობის კულტურულ-ეთნოგრაფიული ღირებულების პოპულარიზაციაა. აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის თავმჯდომარე სულხან ღლონტმა შუახევის მერთან და პროექტის სამუშაო ჯგუფთან ერთად ჭვანის ხეობა მოინახულა და პროექტით გათვალისწინებული საკითხები განიხილა.

**„ჭვანის ხეობის ტურისტული განვითარების გეგმა ტერიტორიის განვითარების დეტალური კონცეფციისა და ტერიტორიის სივრცითი განვითარების გენერალური გეგმის მომზადებას ითვალისწინებს. განვითარების გეგმაში აისახება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ხაბელაშვილების თაღოვანი ხიდის მიმდებარე ტერიტორია, საიდანაც ძირითადი ტურისტული ბილიკი და ინფრასტრუქტურა წისქვილების სოფლამდე უნდა მოეწყოს. ჭვანის ხეობა გამორჩეულია კულტურული ძეგლებითა და ტრადიციებით, რაც ხეობის განვითარებისა და მრავალფეროვანი ტურისტული პროდუქტების შექმნის კარგ შესაძლებლობებს იძლევა. რეგიონში ტურიზმის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია შეიქმნას მრავალფროვანი ტურისტული პროდუქტები თითოეულ მუნიციპალიტეტში, რაც განსაკუთრებით მიმზიდველს გახდის აჭარას ტურისტებისა და სტუმრებისთვის. ჩვენ დაწყებული გვაქვს მუშაობა მნიშვნელოვან პროექტებზე, რომლებიც ტურიზმის ყველა თანამედროვე მოთხოვნას უპასუხებს და მათი განხორციელების პირველი ეტაპი 2019-2021 წლებში დასრულდება,“** — განაცხადა აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის თავმჯდომარე სულხან ღლონტმა.

## რა ფუნქციას შეიძენს ავლაბრის საპრეზიდენტო სასახლე?!

**სამუშაო ჯგუფი განიხილავს, რა ფუნქციით შეიძლება ავლაბრის სასახლის შენობის გამოყენება ყველაზე უკეთ,** — ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ განაცხადა.

მისი თქმით, იდეის დონეზე მოწონებულია მოსაზრება, რომ ავლაბრის სასახლეში საქართველოს ეროვნული კულტურის ცენტრი და სამუზეუმო სივრცე მოეწყოს.

**„ეს იდეის დონეზე იქნა მოწონებული. სამუშაო ჯგუფი შეიქმნა, რომელიც განიხილავს ვარიანტებს, ვერსიებს,**

**თუ როგორ შეიძლება ყველაზე უკეთ ამ შენობის გამოყენება. მთავარი ამოცანაა, შენობა მაქსიმალურად მოემსახუროს ჩვენს საზოგადოებას, ხალხს და სწორედ ამ იდეით იქნება ნაკარნახევი სამუშაო ჯგუფის საქმიანობა. ვფიქრობ, ფინანსურადაც და სოციალური თვალსაზრისითაც ამ პროექტის განხორციელება ძალიან მნიშვნელოვანი იქნება“,** — განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

## ბიძინა ივანიშვილი ავლაბრის რეზიდენციაში ეროვნული მუზეუმის განთავსების იდეას მხარს უჭერს

**ბიძინა ივანიშვილი** მხარს უჭერს იდეას, რომ ავლაბრის რეზიდენციაში ეროვნული მუზეუმი განთავსდეს. როგორც საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა დიმიტრი ხუნდაძემ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, უმრავლესობის შეხვედრაზე ავლაბრის რეზიდენციის საკითხი დაისვა, თუმცა დეტალები არ განხილულა.

**„პარტიის თავმჯდომარე მხარს უჭერს იდეას, რომ ეს იყოს ეროვნული მუზეუმი და ეროვნული სიბრძნის დემონსტრირების ადგილი და არა ვთქვათ, პრეზიდენტის, დღევანდელის თუ მომავალში არსებულის სასახლე. ეს იდეა წარმოიშვა. შედგა ჯგუფი, რომელიც გაუწევს კოორდინაციას, თუ როგორ უნდა მოხდეს, როგორ უნდა ჩამოყალიბდეს, როგორ უნდა განვითარდეს და კონკრეტულ შედეგამდე მივიდეს აღნიშნული იდეა“,** — განაცხადა დიმიტრი ხუნდაძემ.

## ბიძინა ივანიშვილმა გამოხატა თავისი პოზიცია, რომ მსჯელობა უნდა დაიწყოს მოსამართლეთა უვადოდ განწესების საკითხთან დაკავშირებით

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ ბიძინა ივანიშვილმა უმრავლესობის სხდომაზე გამოხატა პოზიცია, რომ მოსამართლეთა უვადოდ განმწესების საკითხთან დაკავშირებით, მსჯელობა უნდა დაიწყოს.

## სინგაპურის სასამართლომ ივანიშვილის სარჩელი არ განიხილა

**როგორც** გამომძიებელ ჟურნალისტთა გაერთიანება ifact-ი წერს, ბიძინა ივანიშვილმა სინგაპურში სასამართლო დავა წააგო. იგი შვეიცარიული ბანკის „კრედიტ სუისის“ ბანკირს მისი ფულის გაფლანგვას ედავებოდა.

Mandalay Trust სინგაპურში რეგისტრირებული იურიდიული პირია, რომლის ბენეფიციარებია ივანიშვილი, მისი ცოლი და სამი შვილი. 2005 წელს ივანიშვილმა Mandalay Trust-ის ანგარიშიდან „კრედიტ სუისის“ სინგაპურის ფილიალში 550 მილიონი აშშ დოლარი გადარიცხა.

**„კრედიტ სუისი“ შვეიცარიული ბანკია. მისი ბანკირი პატრიკ ლესკადრონი ახლახან გაათავისუფლეს ციხიდან, სადაც მან 10 თვე გაატარა თაღლითობისთვის. ივანიშვილი სწორედ ლესკადროს სდებდა ბრალს მისი ფულის გაფლანგვაში და მის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა შვეიცარიაში, ახალ ზელანდიაში, ბერმუდასა და სინგაპურში.**

The Singapore Strait Times-ის ინფორმაციით, სინგაპურელმა მოსამართლემ უარი თქვა საქმის განხილვაზე, რადგან დანაშაული შვეიცარიაში მოხდა და ის შვეიცარიულმა სასამართლომ უნდა განიხილოს.

## მეთერთმეტკლასელები ერთმანეთს დაერივნენ!

**შინაგან** საქმეთა სამინისტრომ თბილისის 61-ე საჯარო სკოლაში ინციდენტზე გამოძიება ძალადობის მუხლით

**დაიწყო. შსს-ს ინფორმაციით, მოსწავლეები განყოფილებაში გადაიყვანეს და პასუხისმგებელ პირებთან ერთად გამოჰკითხეს.**

ფიზიკური დაპირისპირება ორმე-11 კლასელს შორის გაკვეთილის მიმდინარეობისას გუშინ დილით მოხდა. ფაქტზე მანდატურმა რეაგირება მოახდინა და მომხდარის შესახებ 112-ს შეატყობინა. ადგილზე პოლიციასთან ერთად, სასწრაფო-სამედიცინო დახმარების სამსახურიც იმყოფებოდა.

## იმედი გვაქვს, ეს ინციდენტი აღარ განმეორდება!

**„რაც მთავარია, სწრაფად მოხდა რეაგირება. იმედი გვაქვს, რომ ეს ინციდენტი აღარ განმეორდება“,** — ამის შესახებ განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა, მიხეილ ბატიაშვილმა 61-ე საჯარო სკოლაში მოსწავლეებს შორის მომხდარი დაპირისპირების საკითხზე კომენტირებისას განაცხადა.

**„როგორც ვიცით, ეს ინციდენტი აღმოფხვრილია. ასევე, ახლა მნიშვნელოვანია, რომ მანდატურმა მუშაობა გააგრძელოს, ასევე, ჩაერთვება ფსიქოლოგიური სამსახური, რომელიც მშობლებთან გააგრძელებს მუშაობას. რაც მთავარია, რეაგირება სწრაფად მოხდა. იმედი გვაქვს, რომ ეს ინციდენტი აღარ განმეორდება“,** — განაცხადა მიხეილ ბატიაშვილმა.

## გოგია და გულორდავა სასამართლომ პატიმრობაში დატოვა

**განსაკუთრებით** **დიდი ოდენობით ქრთამის აღების ბრალდებით დაკავებული ზუგდიდის მერი ლაშა გოგია, ვიცემერი გია გულორდავა და მათთან ერთად დაკავებული კიდევ ორი პირი, თენგიზ ქობალია და ხუტა ბაღათურია სასამართლომ პატიმრობაში დატოვა.**

დღევანდელ სხდომაზე ადვოკატები მათთვის აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს შეფარდებას ითხოვდნენ, თუმცა მოსამართლემ არ დააკმაყოფილა. სუს-ის ანტიკორუფციულმა სააგენტომ გოგია და გულორდავა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღების ბრალდებით პირველ ნოემბერს დააკავა. პროკურატურის ინფორმაციით, ექსპერტიზამ დაადასტურა, რომ გავრცელებული აუდიოჩანაწერი, სადაც დაკავებულების მიერ ქრთამის აღებაზეა საუბარი, ავთენტურია.

## მეხსიერების ბარათი:

# დავრჩი უსამსახუროდ, ნასამართლევი... ახლობლების დახმარებით ვფარავ ბანკიდან აღებულ ვალს...

**გახსოვთ რომელიმე ძართული ზღაპარი? შეძლებთ მოკლე შინაარსის გადმოცემას? მაგალითად, „კუდიანი დედაბერი და ოძროსთმიანი ვაჟი“, ან „მუხაგლეჯია სიდედრი და სიმამრი“, „მეწისძვილის ძალიშვილი და სამი ძოსა“... ეს ზღაპრები ბავშვობაში წაგვიკითხავს, მოგვისმენია „ძილისპირულში“, მოუყოლიათ რომელიმე საბავშვო ტელეგადაცემაში და ტკბილად დაგვძინებია. დილით აღარ გვახსოვდა. დაუჯერებლის დამახსოვრება არ არის იოლი საძმე.**

ცხოვრებაში ბევრად დაუჯერებელი ამბები ხდება. აგერ, სულ ახლახან იყო ორი მსოფლიო ომი, სამოქალაქო ომები, საკონცენტრაციო ბანაკები, გულაგები, ტროიკები, რასობრივი სეგრეგაცია, ფაშიზმი, ტოტალიტარიზმი... ეს ყველაფერი სულ ახლახან მოხდა, სულ ორიოდე თაობის წინ.

ადამიანის ტვინი ისეა მოწყობილი, რომ თავად წყვეტს, რა დაიჯეროს და რა – არა, რა დაიმახსოვროს და რა მიმალოს ტვინის რომელიმე მიყრუებულ უჯრედში, საიდანაც შემდეგ საჭირო დროს ისევ წამოტივტივდება და შემდეგ, მომდევნო საჭიროებამდე, ისევ დავიწყებას მიეცემა. მაგრამ, ერთია ტვინი, და მეორე – გული. ტვინი დეტალებს ინახავს, გული – განცდებს. ჩვენ არ გვახსოვს, რა ფერის ვაშლი მირთვა მოხუცებულმა ცოლ-ქმარმა, რადგან ეს დეტალია, მაგრამ გვახსოვს, რომ ბოლოს სიკეთემ გაიმარჯვა და ესაა მთავარი.

თუმცა, რეალურ ცხოვრებაში, დეტალების შეხსენება-გახსენება აუცილებელი რამ არის. უამისოდ, ნამდვილი ამბავი, გავა დრო, და იქნებ ზღაპრად ჩათვალო და იქნებ ცუდ სიზმრად, და მერე ბალიშს დააბრალო.

დეტალები გვახსენებენ, რომ ის, რაც მოხდა, ნამდვილად მოხდა და ის, რაც ხდებოდა, ნამდვილად ხდებოდა. გამოცდილება კი რა არის, თუ არა მეხსიერება? თუ გვახსოვს – ვითვალისწინებთ, შეცდომებზე ვსწავლობთ. მცირე, ერთი შეხედვით ღიმილისმომგვრელმა, პატარა დანაშაულმა, რომელზეც თვალს დავხუჭავთ, თუ შეცდომამ, რომელსაც არ გავითვალისწინებთ, შესაძლოა, უდიდესი ბოროტება შვას. მაგალითები? მსოფლიო ისტორიას ბევრი ასეთი მაგალითი ახსოვს, მაგრამ ჩვენ ჩვენი ვთქვათ აგერ, ახლახან, ლამის გუშინ რომ იყო.

პარლამენტის დაცვის თანამშრომელმა პირადობის დამადასტურებელი საბუთი მოსთხოვა პარლამენტის წევრს დავით კირკიტაძეს, რაც ამ უკანასკნელმა იუკადრისა და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ – გალახა. ისტორიამ არ შემოგვინახა დაცვის თანამშრომლის სახელი და გვარი. მაშინ ამ ფაქტს დიდი გამოხმაურება მოჰყვა. კირკიტაძე იძულებული გახდა, ბოდიში მოეხადა, რაც მიხეილ სააკაშვილმა გმირობად შეაფასა და თევდორე მღვდლის, დემეტრე თავდადებულის, სამასი არაგველის, მერაბ კოსტავას ქვეყანაში მოძალადე გამოაცხადეს გმირად!.. მერე ეს ამბავი ყველას მიავიწყდა.

შედეგი: სამიოდე წლის შემდეგ, ბრძოლის ველზე რამდენიმე დღის განმავლობაში უპატრონოდ იყო მიტოვებული ომში დაღუპული გმირების ათეულობით ცხედარი, კრებსითი კირკიტაძეები კი ამ დროს დედაქალაქის ცენტრალურ გამზირზე ომში დამარცხებას და ქვეყნის ოცი პროცენტის ოკუპაციას ზეიმობდნენ. შემდეგ, ბრძოლის ველიდან გაქცეულმა „გმირებმა“ ციხეები აავსეს ბრძოლებში გადარჩენილებით. კიდევ რამდენიმე წლის შემდეგ თბილისში გმირთა მოედანზე გმირები დაარბიეს.

დაუჯერებელია და იოლად ვივიწყებთ. დაუჯერებელია, რომ XXI საუკუნეში, ზედ ევროპის ალაყაფთან, ხდებოდა ის, რაც ხდებოდა. ჩვენ გვავიწყდება, ხოლო ალაყაფს იქით ბევრი დღემდე ვერ იჯერებს, რომ სააკაშვილის საქართველოში არ დარჩა ოჯახი, რომელსაც არ ჰყავდა თუნდაც ერთი პატიმარი ან ერთი პრობაციონერი, რეპრესირებული, იმედდაკარგული და ქვეყნიდან იძულებით გადახვეწილი...

ვერ იჯერებს იმას, რაც ჩვენ საკუთარი თვალით ვნახეთ, საკუთარი ყურით მოვისმინეთ, საკუთარ თავზე გადავიტანეთ და განვიცადეთ. ვერც ვერასოდეს დაიჯერებს, თუ ჩვენ თვითონ აღარ გვემახსოვრება, და თუ არ გვემახსოვრება და არ გავითვალისწინებთ, მაშინ ევროპის ალაყაფს იქით კი არა, ევროპის ალაყაფს აქეთაც არაფერი გვესაქმება.

ახლა კი, ის, რაც ხდებოდა, რაც ნამდვილად ხდებოდა – უამრავი ადამიანის ტრაგედია, უსამართლობა, ძალადობა, დაცინვა, შეურაცხყოფა, ჯანმრთელობის დაზიანება, სიცოცხლის წართმევა, პატივისა და ღირსების აყრა...

დეტალებს გაგახსენებთ, უცნობ ისტორიებს მოგიყვებით... მხოლოდ ნაწილს, რადგან ათასობით საქმეს გავეცანი, უამრავ ადამიანს ვესაუბრე, ბევრი რამ ჩემ თვალწინ და ჩემ გარშემო მოხდა, მეც გადამხდა. მოგიყვებით და გაგახსენებთ მხოლოდ ნაწილს, ყველაფრის თქმა, დაწერა თუ მოყოლა შეუძლებელია. გავიხსენოთ ნაწილი და განვიცადოთ მთლიანობაში. გასაგები მიზეზების გამო, ზოგჯერ არ იქნება გვარები და სახელები, იქნება მხოლოდ ინიციალები, თუმცა ამ ინიციალებს იქით მთელი საქართველო, ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა და საზოგადოება დგას.

ამბები არის უამრავი, დასკვნა – ერთი: **„ეს აღარ უნდა განმეორდეს!..“**

## „წინ დამიდეს ჩემივე გარდაცვალების დასკვნა“

**„დავრჩი უსამსახუროდ, ნასამართლევი და ახლობლების დახმარებით ვფარავ ბანკიდან აღებულ ვალს“ – სულ ათ სიტყვაშია ჩატეული გულის ტკივილი, დარდი და ცრემლი ერთი, ჩვეულებრივი ახალგაზრდა კაცისა, იქნებ, არც ისე ჩვეულებრივის, არცთუ ახალგაზრდის, იქნებ, მთელი თაობის ან რამდენიმე თაობის, ხალხის, საზოგადოების, ქვეყნის და სახელმწიფოსი.**

ეს სიტყვები – „...დავრჩი უსამსახუროდ, ნასამართლევი, და ახლობლების დახმარებით ვფარავ ბანკიდან აღებულ ვალს“ – შეგვიძლია, ყველამ ერთად და ერთხმად ვთქვათ, შეგვიძლია, ვთქვათ ცალ-ცალკე, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, შეგვიძლია, ჩუმად ჩავილაპარაკოთ და გავიფიქროთ, მაგრამ მაინც ერთხმად ნათქვამი და ერთად ნაფიქრი გამოგვივა. შეგვიძლია, სათითაოდ მოვუსმინოთ ერთმანეთს და სანამ შენი ჯერი მოვა, სხვების მონაყოლიდან ამოკრეფილი ცალკეული დეტალები უკვე შეადგენს შენ ამბავს, თავგადასავალს. იქნებ, პირადად შენ არც არაფერი გადაგხდენია მსგავსი, მაგრამ შენ გარშემო გადახდა ყველას. მაგრამ ისე ხომ არასოდეს ხდება, რომ ყველასთვის გვალვა იყოს და შენთვის წვიმდეს?

ეს დეტალებია: გლდანის დაწესებულება ან რუსთავის დაწესებულება; იარაღის ჩადება ან ნარკოტიკის ჩაგდება; ნეკნების ჩამტვრევა, ან ელექტროშოკი; ზემოქმედება ოჯახზე ან მეგობრებზე; სხვის მიერ ჩადენილი დანაშაულის საკუთარ თავზე აღება ან სხვის სასარგებლოდ საკუთარი ქონების დათმობა... არჩევანი დიდია. ამოკრიფე სხვების მონაყოლიდან, დაალაგე და ხელთ საკუთარი თავგადასავალი შეგრჩება ასეთი ეპილოგით: „დავრჩი უსამსახუროდ, ნასამართლევი და ახლობლების დახმარებით ვფარავ ბანკიდან აღებულ ვალს“.

იმ ახალგაზრდა კაცს, გიორგი კ-ს მოვუსმინოთ: „გლდანის მერვე დაწესებულებაში გატარებული 24 დღე ნამდვილი ჯოჯოხეთი იყო. ღამის პერიოდში რამდენჯერმე შემოდიოდა პროკურორი, საკნიდან გავყავდი და მაძალებდა ჩემ საკუთრებაში არსებული ფართების დათმობას. თავიდან უარზე ვიყავი, თუმცა მას შემდეგ, რაც პროკურორმა მითხრა, რომ მამაჩემსაც დააკავებდა, მიუხედავად მისი ავადმყოფობისა, თანაც მუქარა რეალური იყო, ვეღარ გავუძელი ამ ფსიქოლოგიურ ზეწოლას და დავთანხმდი ბრალის აღიარებას და ქონების დათმობას მამის სიცოცხლის ფასად. თუმცა, უნდა აღვნიშნო, რომ მე საკუთარი მამის გადარჩენა ამ ფასადაც ვერ მოვახერხე. ჩვენს ოჯახზე განხორციელებული რეპრესიების და უკანონობის, ასევე ჩემი დაკავებით გამოწვეული დიდი ნერვიულობის ფონზე მისმა ისედაც შერყეულმა ჯანმრთელობამ ვერ გაუძლო და ორ თვეში გარდაიცვალა. დავრჩი უსამსახუროდ, ნასამართლევი და ახლობლების დახმარებით ვფარავ ბანკიდან აღებულ ვალს“.

**ჯოჯოხეთზე, პირველ რიგში, კუპრით სავსე, ცეცხლზე შემოდგმული ძვაბი წარმოგვიდგება ხოლმე თვალწინ: კუპრი თუხთუხებს, სამკაპით აღჭურვილი ეშმაკი ძვაბის პერიმეტრს აკონტროლებს, ვინმემ თავი რომ არ ამოყოს, იხარშოს, სანამ ყველანი კუპრის მოთუხთუხე მასად არ გადაიქცევიან.**

როგორ კონტროლდებოდა პერიმეტრი? ამ პროცესის უამრავი მოწმე და მონაწილე არსებობს. ადამიანები იხსენებენ, ადამიანები ყვებიან:

**დიმიტრი გ: „...ჩემი დაკავების შემდეგ პროკურატურამ ზეწოლა დაიწყო ჩემს ოჯახზე. ეს პიროვნება იყო თბილისის პროკურორის მოადგილე. მან არ გაიკარა ადვოკატი, პირადად ჩემს მეუღლეს ეკონტაქტებოდა, მასზე ახდენდა ზეწოლას. მოითხოვა 100 კომპიუტერის შეძენა ჩემი გათავისუფლების სანაცვლოდ. ოჯახმა გაარკვია, რომ 100 კომპიუტერის საბაზრო ღირებულება შეადგენდა 60 ათას ლარს და დათანხმდა. მაგრამ ამით არ დაკმაყოფილდნენ. კონკრეტულად მიუთითეს ორი კომპიუტერული ფირმა, სადაც უნდა შეეძინათ ისეთი მოდელის კომპიუტერები, რომელიც საქართველოში არ არსებობდა, და მისი ჩამოტანა მოითხოვეს აშშ-დან. საერთო ღირებულებამ შეადგინა 180 ათასი ლარი. ეს კომპიუტერები განაწილდა ორ უწყებაზე: 90 ათასი ლარის – შინაგან საქმეთა სამინისტროზე, 90 ათასი ლარის – ეკონომიკის სამინისტროზე. ჩემს ოჯახს არ ქონდა ეკონომიკური შესაძლებლობა. ზემოაღნიშნულის გამო, დააგირავეს ჩემი მშობლების კუთვნილი ბინა. პროცენტისა და ძირითადი თანხის გადაუხდელობის გამო ჩემი ბინა დავკარგე, მშობლების ბინაზე კი, მალე აუქციონი გაიმართება. ცხრა ადამიანი ქუჩაში ვრჩებით“.**

**ჯაბა გ: „თითქმის ერთი წელი ე.წ. კარანტინში გამატარებინეს სრულიად უსაფუძვლოდ და უმიზეზოდ. სულში გვაფურთხებდნენ. უმოწყალოდ, არაადამიანურად, ხან აბანოში, ხან საკანში, ხან კარანტინში დღეში სამჯერ-ოთხჯერ არაადამიანურად მცემდნენ, კი არ მცემდნენ, ცემაში მკლავდნენ. ეგრეთ წოდებული სანტექნიკის გაყვანილობის პლასტმასის ტრუბა-დუბინკით უმოწყალოდ მცემდნენ. რომ გავითიშებოდი, მომასულიერებდნენ და ისევ ახლიდან იწყებდნენ. მთელი ძალით მცემდნენ, ყველგან, განსაკუთრებით თავში, თან იცინოდნენ და ერთობოდნენ, იძახდნენ, აიტანს თუ არა, ეგეც ჩვენი დარდიო...“**

**გიორგი ო: „პოლიციაში საცვლების ამარა მიყვანისას დაიწყო ჩემზე ფიზიკური ანგარიშსწორება და ფსიქოლოგიური ზემოქმედება, წყლით სავსე ბოთლით თავის არეში და მუცელში ცემა, ე.წ. „ქათმების“ საკანში ჩასმის მუქარა, დედის დაპატიმრება თანამონაწილის სტატუსით, გინება და ა.შ. როგორც შემდეგ აღმოჩნდა, გატეხილი მქონია ხერხემლის ოთხი მალა... ამჟამად გასულია ორი წელი. ვარ დაინვალიდებული და გადაადგილებაში შეზღუდული. ალბათ, მთელი ცხოვრება ვერ გამოვჯანმრთელდები“.**

ცხრა ადამიანი ქუჩაში ვრჩებით. ალბათ, მთელი ცხოვრება ვერ გამოვჯანმრთელდები. იცინოდნენ და ერთობოდნენ, იძახდნენ, აიტანს თუ არა, ეგეც ჩვენი დარდიო... „აი, ჩვენი დარდი“ – ამას წლების განმავლობაში ღიმილით ამბობდნენ რიგითი პოლიციელები, პოლიციის უფროსები, რიგითი გამომძიებლები, პროკურორები, პროკურატურის ხელმძღვანელები, მინისტრები, პარლამენტარები, მოსამართლეები და პრეზიდენტი.

ჩემი მეგობარი საკუთარი ნივთების მოპარვის გამო გაასამართლეს. მოსამართლე და პროკურორი ხმამაღლა იცინოდნენ. ნიკუშა დაბნეული იღიმებოდა.

ჩემი მეგობარი – მორწმუნე, ქველმოქმედი კაცი, მრავალშვილიანი მამა, 10-ლარიანი, ჩინური, ტელევიზორის პულტის მოპარვისთვის აღმოჩნდა განსასჯელის სკამზე. ის პულტი ბაზრობაზე ჯიბეში ჩაუდეს და ქურდობაზე დაიჭირეს. ჩემი მეგობარი დუმდა და გულში ღმერთს მადლობას წირავდა, რომ არ ჩაუდეს ნარკოტიკი, არ ჩაუდეს იარაღი...

ერთსაც და მეორესაც საპროცესო შეთანხმება გაუფორმეს – 2000 ლარი ბიუჯეტის სასარგებლოდ. სახელმწიფოს სჭირდებოდა ფული, სახელმწიფოს არ სჭირდებოდა ადამიანი. მაშინ ადამიანებს უთხრეს, რომ მათ ჩარეცხავდნენ, რომ ყველას დაიჭერდნენ, რომ სულს ამოხდიდნენ, ვის – ციხეში, ვის – სიღარიბეში და ვის – სასოწარკვეთილ უიმედობაში.

**გაივლის დრო და ასეთი ორ-ორი, სამ-სამი და ბევრ-ბევრი ათასი ევროებში გადაყვანილი ლარებით სააკაშვილი მილანში შეირბენს საათის შესაძენად, გერმანელ მასაჟისტს ჩამოიყვანს და ცხიმიან ზურგს დააკბენინებს, მერიის მაღალჩინოსნები იქირავებენ თვითმფრინავს, ჩასხავენ ცოლებს და საყვარლებს და ტოკიოს მიაშურებენ შოპინგზე. მათ შორის ყველაზე იდიოტი მილიონერი გახდება, ყველაზე ნაძირალა – მილიარდერი და ბოლოს ქვეყნის ტერიტორიის 20 პროცენტს, მათივე სიტყვებით – ქვების გროვას, მტერს დაუთმობენ, რადგან „ქვების გროვაში ფული არ იშოვება, ფული იშოვება ხელისუფლებაში და ძალაუფლებაში“.**

და აქ, რა თქმა უნდა, ყველას გვახსენდება ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ნაციონალის (მათ არ აქვთ სახელები და გვარები, ისინი ნაციონალები არიან) მიერ, ხელისუფლებაში მოსვლიდან ორიოდე კვირაში ნათქვამი სიტყვები: „ეს „ვლასტი“ რა მაგარი რამე ყოფილა“.

ყოფილი პატიმრის, ზვიად ფ-ს წერილიდან: **„ვინც ყოველდღე მცემდა, „კარპოვიჩს“ ეძახდნენ. იმ პიროვნებას ადამიანის არაფერი გააჩნდა, ამის შემდეგ გადამიყვანეს ქუთაისის საპყრობილეში, აი, იქიდან კი დაიწყო ჩემი ჯოჯოხეთური წამება. იქ მიყვანისას საერთოდ გამაშიშვლეს და ასე შემაგდეს საკარანტინო საკანში, მერე შემოვიდნენ და დაუნდობლად მცემეს. ასე გრძელდებოდა ათი დღე. შემდეგ გადამიყვანეს გლდანის ციხეში. გლდანში თავი საშინელებათა ფილმში მეგონა. შუა ღამით გამიყვანეს კარანტინიდან და ერთი საათი მცემდნენ მკერდის არეში. ნეკნი გამეზარა, მომტეხეს კბილი. როდესაც კარანტინი დაიშალა, ვერ დავდიოდი, თრევით გამიყვანეს, უღმერთოდ მცემეს. გონებაზე არ ვიყავი. როცა გონს მოვედი, სადღაც, ძალიან ვიწრო საკანში ვეგდე, ბეტონის იატაკზე... წამება გრძელდებოდა შვიდი თვე, სასამართლოს ბოლო პროცესამდე. მე ვეღარ გავუძელი წამებას და ვაღიარე, გარდა ამისა, პროკურორმა მითხრა, თუ არ აღიარებ, 30 წლით დაგაპატიმრებო. მოგეხსენებათ, მაშინ ვერ წარმოვიდგენდით, თუ ნაციონალები, სულ მცირე, 20 წელი მაინც არ იქნებოდნენ ხელისუფლებაში“.**

**დიტო გელოვანი,**

(გაგრძელება მორიგ ნომერში)

# კადრები, რომლებიც ყველაფერს კადრულობენ

ყოველგვარი პათეტიკური შესავლის გარეშე ვწერ:

**1. პირადი ცხოვრების კადრების გადაღება, შენახვა და შემდგომ გავრცელება რომ ამაზრზენია, მგონი, ამაზე ყველა ნორმალური და ჯანმრთელი ფსიქიკის ადამიანი უკვე შეთანხმებული ვართ, არა მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსის რომელიღაც მუხლის გამო, არამედ იმ ერთი შეხედვით მარტივი, მაგრამ შინაგანი მორალისა და იმ ქიმერის მოქმედების გამო, რასაც სინდისი ჰქვია (ამ ქიმერისგან განთავისუფლების პირობას მხოლოდ გერინგი იძლეოდა).**

**2. ამაზრზენია ის აჟიოტაჟი, რომელიც კონკრეტული პიროვნების ოჯახის წევრებთან იმ რაღაც კადრების გავრცელებას მოჰყვა და მე აუცილებლად უნდა დავადასტურო ჩემი ღრმა პატივისცემა სოციალური მედიის, ფეისბუკის მომხმარებლების მიმართ, რომლებიც არ აჰყვნენ ამ საზიზღარ პროვოკაციას და ე.წ. „ნამდვილი მედიისგან“ განსხვავებით, სრული იგნორი გაუკეთეს მოძალადეებს.**

**3. ამაზრზენი იყო გიორგი გაბუნიას მიერ ვინმე გვრიტიშვილისგან, რომელიც რატომღაც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეა, აღებული ინტერვიუ, რაც, ჩემი აზრით, არის საქართველოს მოსახლეობის, ხელისუფლების ოთხივე შტოს და ნებისმიერი მორალური პრინციპების პირდაპირი შეურაცხყოფა, ადამიანის არსებობის ცხოველურ დონეზე დაყვანა. აქ შემიძლია თამამად ვთქვა – პირველ რიგში გვრიტიშვილებისა და გაბუნიებისა უნდა ეშინოდეს ხელისუფლებას (ოთხივე შტოს) და კარგად დაფიქრდნენ იმაზე, თუ თავად რაში სჭირდებათ იმ ნაძირალების გაფეტიშება, მათთან მონური მორჩილებით ყოფნა, მაშინ, როცა ყოველ წუთს ზურგში დანას უნდა ელოდონ.**

**4. იმ ფორმატიდან გამომდინარე, რაც საკუთარი აზრის ქონის უფლებას მაძლევს, თამამად შემიძლია ვთქვა: ა) აბსოლუტურად არ მაინტერესებს არავის პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები, მითუმეტეს, თუ ეს კადრები სრულიად თავისუფალ ადამიანს შეეხება და გამომდინარე იქედან, რომ ხელისუფლება ფაქტობრივად არაფერს აკეთებს სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადი ქმედების აღმოსაფხვრელად; დადგინდეს როდის და ვინ გააკეთა ჩანაწერი; ვინ იყო დაინტერესებული ამ ჩანაწერების ფლობით. დ.ა.შ. და არა იმ ვიღაც სექსუალურად აღგზნებული 16 არსების დაკავება, ვინც ნახა და შემდგომ თავიანთ ახლობლებს გაუგზავნა. უფლებას ვიტოვებ ვიფიქრო, რომ რაღაც შიშისა და მორიდების ფაქტორი არსებობს.**

**5. უკვე აღარ მაოცებს სახალხო დამცველის დუმილი და ვიტოვებ უფლებას ვიფიქრო, რომ მასაც რაღაცის ეშინია.**

იმ ყოვლად უზნეო კადრებთან დაკავშირებით, ჩემი არა მხოლოდ „ფრენდების“, არამედ მეგობრების მხრიდან სხვადასხვა შეფასებებია. შეიძლება ვთქვა, რომ რადიკალურად განსხვავებული და რამდენად საკვირველიც არ უნდა იყოს (პირველ რიგში, ჩემთვის) გარკვეულწილად ორივე მოსაზრებას ვეთანხმები.

ბუნებრივი იმის თქმა, რომ პირადი ცხოვრების კადრების გადაღება და გავრცელება ამაზრზენია, მაგრამ უფრო ამაზრზენია იმ ხალხის ჩვენს გვერდით ყოფნა, რომლებიც ამ მოცემულობას პოლიტიკური ბრძოლის ერთერთ მეთოდად აღიქვამენ.

ჩემი თაობის ბიჭები დამეთანხმებიან, რომ საშინელი „გრეხი“ იყო საუბარი იმ ქალზე, ვისთანაც ოდესმე რაიმე ურთიერთობა გქონდა. ალბათ, წარმოიდგენთ, თუ რა რაეაქცია გვექნებოდა, ვინმეს ფოტოები, ან აუდიოჩანაწერები ეჩვენებინა.

არ „ვიმარიაჟებ“ იმ მორალური პრინციპებით, რაც იყო და რისი განადგურებაც დაწყებულია. ეს სხვა თემაა და ამჯერად სხვა საკითხს მინდა შევეხო:

**1. რატომ არ არის დაკითხული ე.წ. მოსამართლე გვრიტიშვილი იმ განცხადებების გამო, რაც მან ბოლო დღეების განმავლობაში მედიასაშუალებებთან ურთიერთობის დროს თქვა.**

**2. რატომ არიან ეს და სხვა არსებები იმ უზენაესი უფლების განმახორციელებლები, რასაც ხალხის უზენაესი ნების, კანონისა და სამართალის ძალაში შეყვანა ჰქვია.**

**3. რატომ ხდება ამ საკითხის აჟიტირება მაშინ, როცა სამართალდამცავები ყველაფერს აკეთებენ და არ ხდება იმ უამრავი პრობლემის ჯეროვანი განხილვა, რასაც განათლების მომავალი, მინიკოლუმბიად ქცეულ ფონიჭალაში, ავტოკატასტროფებში დაღუპული ადამიანების (განსაკუთრებით ახალგაზრდების) რიცხვი ჩვენს თავზე აღმართულ მახვილად არის ქცეული.**

**4. რატომ აქვთ პრეტენზია უმაღლეს თანამდებობაზე (მოსამართლე უფრო მაღალი ფიგურაა, ვიდრე ნებისმიერი თანამდებობის პირი), ნაძირალებს, თაღლითებს, ორმაგ მოთამაშეებს და თუ მათ ისე აქვთ არსებული კანონმდებლობა საკუთარ თავზე მორგებული, რომ ვერ შეეხები. სად არიან მათი ნათესავები, ახლობლები, მეგობრები, რომლებმაც თავად უნდა უთხრან ნამდვილი სათქმელი (მაპატიეთ, შეიძლება ისევ მორალურ პრინციპებზე გადავდივარ, მაგრამ როცა რამეს ვაშავებდი (და პირველ რიგში ჩემს თავს ვუშავებდი), ჩემები ყველანაირად მეხმარებოდნენ დაძლევაში. კი არ მამხნევებდნენ, რა მაგარი ხარო, იბრძოდნენ, რომ დამეძლია ჩემი ცუდი საქციელი).**

**5. დაბოლოს – ქვეყნისთვის ყველაზე მეტად მგრძნობიარე, ის საშინლად მდაბიო დამოკიდებულება არსებული პრობლემების მიმართ, რაც, ჩემი აზრით, უპირველეს, ყოვლისა ისევ და ისევ უმდაბლესი განათლების პირდაპირი შედეგია.**

ჩემი აზრით, საზოგადოებამ ამაზე უფრო უნდა გავამახვილოთ ყურადღება და არა იმ სისულელეებზე, მობილურში ვინ რა მესიჯი მიიღო, ჯერ ტუალეტში შევარდა, თუ ვინმეს გადაუგზავნა. ამას სამართალდამცავები მიხედავენ.

ამიტომ თამამად ვიტყვი: აჩვენეთ მსოფლიოს გვრიტიშვილ-ჯულიეტოვნას დუეტი (განსაკუთრებით გვრიტიშვილის მიერ ვიკიპედიაში ამოკითხული „ინტელექტუალური“ ფრაზები ძველი რომის ისტორიასა და რომაულ სამართალზე) და დღევანდელ ქართულ სასამართლოს „რ2“-თან ერთად ნატოს ჯარები მიხედავენ.

არადა, იმ „მოსამართლემ“ თუ იცოდეს რწყილი ღორის მერე ვისთან მივიდა, მე ვიყო მეთოფიშვილი.

არ ვიცი, შეიძლება, ძალიან არადემოკრატიულად და არა მომავალსახელმწიფოებრივად ვფიქრობ, მაგრამ პირად შეურაცხყოფად მიმაჩნია ფრაზები – „უნდა პასუხი მოეთხოვათ“, „უნდა დაპატიმრებინათ“, „უნდა“...

აი ეს „უნდა“ მკლავს, მინადგურებს რწმენას, მომავალს, იმედს!

რა ნიშნავს „უნდა“?!

პოლიცია თქვენია, პროკურატურა თქვენია, მურუსიძე თქვენია და მე, ჩემი შვილის ტელეფონში აკრეფილი სტატუსებით „სად ვსდიო დარიკოს“ (ფრაზის რემიქსი ქართული ფილმიდანაა).

რას ნიშნავს „უნდა“? რას ნიშნავს „საგაზაფხულო სესია“? გაზაფხული შემოვიდა ლეენ?

საკმაოდ საინტერესო დიალოგი იყო „რ2“-ზე მიჰასა და კვესიტაძე-გვარამიას შორის.

**1. კვესიტაძე-გვარამიას აინტერესებთ თუ როდის ჩამოვა მიჰა.**

**2. მიჰას მათი ინტერესი მაგრად „ჰკიდია“ და ძალიან „სენსიტიურ“ თემას აწვება, რასაც ეს ორი უტვინო ვერ ხვდება და ვერ ახდენს მის განვითარებას. აი რა დავინახე ამ „დიალოში“: მიჰა მისმა დასავლეთელმა მრჩეველებმა დაარწმუნეს, რომ საქართველოს მოსახლეობა არის მერკანტელური, ანგარებიანი და ოცნებას მხოლოდ და მხოლოდ ივანიშვილის ფინანსური შესაძლებლობების გამო უჭერს მხარს (ეს აზრი გარკვეულწილად არ არის შორს იმ წვრილმანი კვლევებისგან, რაც თუნდაც იმ ჭორებზე იქნება დაფუძნებული, რომლებიც გავრცელდა 2012 წელს „ქართუ“ ბანკის დაყაჩაღების შემდეგ, როცა მოსახლეობამ თითო ლარი სიმბოლურად შეიტანა „ქართუს“ დასახმარებლად (მეც მათ შორის) და სწორედ მაშინ მითხრა ერთმა ჩემმა ნაცნობმა – ერთი ლარი რამ შეგატანინა, ივანიშვილს უთქვამს არჩევნების მოგების შემდეგ, ყველას ორმაგს დავუბრუნებო!)**

აი ის „სპეციალისტები“ არ ითვალისწინებენ ჩემი და ჩემნაირების მენტალიტეტს. იმ ქართულ მენტალიტეტს, რომელიც განსაზღვრავს არა ფინანსურ, არამედ იდეურ და მორალურ პოზიციას და პროტესტს, რაც იმ ერთი ლარის შეტანით გამოვხატეთ.

მიჰა ვერ გამოდის იმ მატრიციდან, რომელიც მას საშინელ კომპლექსში აყენებს.

რატომ?

ის თავის თავს ეკითხება რატომ? და პასუხს ვერ პოულობს.

– მე საქართველო ქვეყნად გადავაქციე, მე კრიმინალი მოვსპე, მე ტექნოლოგიური უნივერსიტეტი მინდოდა, მე სიღნაღი სიყვარულის ქალაქად ვაქციე... მე, მე, მე და არ ახსოვს ქუჩაში დახოცილი ახალგაზრდები, რომელთა მკვლელობა აი იმ გვარამიამ, რომელიც მაშინ პროკურორი იყო, რაღაც ფეიკ-ფილმით „გააპრავა“.

– მიჰას არ ახსოვს ოქრუაშვილის „ფონდი“, სადაც ბიზნესმენებისგან დაყაჩაღებული ფული შედიოდა.

– მიჰას არ ახსოვს პოტიომკინის ქალაქად ქცეული ბათუმი, სადაც მხოლოდ ერთი ქუჩა იყო გაკეთებული და იქვე, ას მეტრში სტალინგრადის ბრძოლის შემდგომ ქალაქს ვხედავდით.

– მიჰას არ ახსოვს „გახსნილი საავადმყოფოები“, სადაც ფეხსაცმლიან-ჰალსტუხიანი კაცი იწვა პაციენტის როლში და ჟურნალისტებს ეუბნებოდა „წნევა მაწუხებსო“.

– მიჰას არ ახსოვს ჩარეცხილი ინტელიგენცია და მათ ადგილას დანიშნული წკრიალაშვილ-ბუღაძე-ლევანაბერძენიშვილები.

მიჰას არ ახსოვს უგულავას არა ჩამონგრეულ, არამედ ჩამოხეულკედლებიანი, „თაბაშირ-მუყაოს“ თბილისი.

– მიჰას არ ახსოვს ფარული ჩანაწერებით სავსე კასრები.

– მიჰას არ ახსოვს...

ცხადია, ამ ყველაფერს მისი მრჩევლები არ ეტყვიან (ტიპი ფულს იხდის).

ის დაარწმუნეს, რომ საქართველოს მოსახლეობას მხოლოდ ფული უნდა და მან თქვა: – მე მომაქვს 10 მილიარდი! მომაქვს, ოღონდ მას შემდეგ, რაც ხელისუფლებაში დავბრუნდები!

ოპ! აქ კი „დაასტოპე“!

აი აქ კი ძაალიან ეშლება.

არ ვიცი, ამას კვესიტაძე-გაბუნია მიხვდნენ, თუ თავიანთ სცენარს მიჰყვებიან, მაგრამ ამ სისულელეს აშკარად არ აჰყვნენ და რეალობა მოითხოვეს.

მიჰა დაიბნა. სულ სხვა თემას ელოდა და სხვა დახვდა.

ნებისმიერ შემთხვევაში, ამ ჯგუფის სრული კრახი და სისუსტე, ამ ერთ უაზრო ტელეგადაცემაშიც აშკარად გამოჩნდა.

ჩვენ შეგვიძლია ვლანძღოთ ყოფილი ხელისუფლება, შეგვიძლია, დავცინოთ ე.წ. არასამთავრობო სექტორს, ცალკეულ პოლიტიკოსებს, შეგვიძლია, ვაკრიტიკოთ ხელისუფლება, მაგრამ არ მოვითხოვთ ყველაზე მთავარს – არ მოვითხოვთ განათლების სისტემის ძირეულ ცვლილებას. არ მოვითხოვთ ხალხის რეალურ ინფორმირებულებას, არ მოვითხოვთ გემოვნებისა და პირადი კულტურის ყოველდღიური განვითარების ამაღლებას.

ვუცქერით იმ მედიასაშუალებებს, რომლებიც მთლიანად „რ2“-ის ტალღაზეა აწყობილი და ისინიც ყოველდღიურად ახდენენ ჩვენი აზროვნების გამორეცხვას, რაც იწვევს ამაზრზენი ვიდეოჩანაწერების ნახვის მოთხოვნას. იწვევს იმას, რომ ბოლო დღეებში ჩატარებული შემოწმების შედეგად თბილისში 32 000 გაზის გამათბობელი კუსტარულად იყო დამონტაჟებული, ჩვენი გემოვნება „ნანუკას“, „მაიკოს“ და ნინა წკრიალაშვილის მწირ აზროვნებაზე ხდება დამოკიდებული.

განათლების რეფორმის ბოლო „ინოვაცია“ ამ თემის პირდაპირი მაჩვენებელია.

თურმე რა გამოცდები და რის სწავლა. აღმოჩნდა, რომ თანამედროვე დემოკრატიული გამოწვევები აღარ ითვალისწინებს განათლების მიღების რაიმე მოდელს.

ის, რისკენაც მივდივართ, პირველად რეი ბრედბერმა იწინასწარმეტყველა წიგნში „451 გრადუსი ფარენჰაიტით“. ჰანიბალის თქმისა არ იყოს („მე ვხედავ დანგრეულ კართაგენს“), მეც ვხედავ თანამედროვე „მეხანძრეთა“ მიერ დანთებულ კოცონებს.

ვხედავ ე.წ. „ციფრულ მოქალაქეებს“.

ვხედავ იმ ტიპის გარობოტებულ ადამიანებს, რომლებიც ჰოლივუდის ბევრ ფილმში გვყავს ნანახი. უწიგნობა, გაუნათლებლობა და პასუხად მიღებული გაძარცული 39 საფლავი. ე.წ. „თეთრი ხმაური“, ვხედავ დეპრესიულ რეგიონად, სალაძეების, გიგაურების, ჯაჯანიძეების, „მაიკოების და ნანუკების“, ლაშაბულაძეების, დეფების და მათი დამქაშების საჯიჯგნად ქცეულ ქვეყანას.

ვხედავ დავიწყებულ სიტყვებს – „დედა“, „მამა“, „სამშობლო“, „და, ძმა“... და მათ ადგილას დამკვიდრებული – მშობელი ნომერი ერთი, რეგიონის ნაწილი, 18 წლის მიღწევის შემდეგ არჩეული სქესი დ.ა.შ.

ვწუწუნებთ, ველით ფულიან მესიას, მორჩილად ვიღიმებით და ისევ ველით.

არანაირი სწავლა! არანაირი წიგნი! არანაირი განათლება!

გაუმარჯოს ნორმად ქცეულ სიგიჟემდე მისულ თავისუფლებას!

ძალიან კარგია, რომ ვრცელდება ინფორმაციები გაკეთებული და გასაკეთებელი საქმეების შესახებ.

ძალიან კარგია, რომ დროულად ხდება „რ2“-ის სიცრუეებზე პასუხის გაცემა, მაგრამ... (ისევ ეს ოხერი „მაგრამ“!)

საქართველოს რამდენი მოქალაქე უყურებს „რ2“-ს და რამდენი კითხულობს ინტერნეტში გაცემულ პასუხებს?

რამდენმა იცის, თუ რა კეთდება მათი სოფლის, თუ ქალაქის ახლოს?

ერთხელ ედუარდ შევარდნაძეს (უკვე გადამდგარი იყო), ინტერვიუს დროს რაღაც შეკითხვა დავუსვი.

გამომხედა და მეუბნება – შენ აქ გასართობად მოხვედი, თუ საქმეზეო.

– ამას რატომ მეუბნებით, ბატონო ედუარდ-მეთქი. – ეგ შეკითხვა ამ ორი დღის წინათ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ ჟურნალისტმა დამისვაო. – უკაცრავად, მაგრამ გუშინ დილით საუზმის დროს „ნიუ-იორკ ტაიმსი“ არ მოუტანიათ-მეთქი, ვუთხარი.

ძალიან კარგია რომ კეთდება, ძალიან კარგია, რომ ყველა სიცრუეს ეძლევა შეფასება და პასუხი გაეცემა, მაგრა სამზარეულოში ბლატაობას“ და შინაურებისთვის ამბების მოყოლას არანაირი აზრი არა აქვს. მიიტანეთ ხალხამდე ეს ყველაფერი, მიიტანეთ.

მოძებნეთ ნორმალური გზა ხალხამდე სიმართლის მისატანად. მოძებნეთ და აღარ იქნებიან ცილისწამებას, ჭორებს, სიცრუეს, ამაზრზენ კადრებს „მოწყურებული“ არსებები. მურუსიძეებს აღარ ექნებათ პრეტენზია მოსამართლედ უვადოდ გამწესებაზე. აღარ მოგვატყუებენ „სამოქალაქო საზოგადოების მშენებლები“.

აღარ იქნება ამათი ზეობა, რადგანაც ნორმალურად მოაზროვნე ადამიანი, იმათგან მოსულ სეტყვას ქვას დაახვედრებს.

აღარ იქნებიან კადრები, რომლებიც ყველაფერს კადრულობენ.

**გია გაბრიჭიძე**

# ოთარ ჩხეიძე- საბჭოთა ბარათი დასავლეთთან

## სცენარი დოკუმენტური ფილმისთვის, რომლის პრემიერაც შედგა ფრანკფურტში წიგნების ფესტივალზე 2018 წლის 12 ოქტომბერს

***ოთარ ჩხეიძე (ფრაგმენტი ქეთევან სადღობელაშვილის ტელეგადაცემიდან „ეპოქა“):***

***– ეს მძიმე ხელობაა, თავისთავად მძიმე ხელობა და, მით უმეტეს, მძიმე იყო ჩვენს დროს. მწერლობის მოვალეობაა სიმართლის გამოხატვა, ხოლო ბოლშევიკური დიქტატურის დროს სიმართლის თქმა არ შეიძლებოდა, არც წერა შეიძლებოდა. მწერლობა ისეა, არ შეიძლება, თუ სიმართლე არ ასახე. მწერლობა მე თვითონ არ მომიფიქრებია, როგორღაც შემთხვევით იყო, თუ ბედისგან შთამაგონეს. ეს მოხდა ჩემს ბავშვობაში, მე-4 კლასში რომ ვიყავი, მასწავლებელმა რვეულები დაგვირიგა და გვთხოვა, დაგვეწერა წელიწადის დროებზე: გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი. ვისაც, რომელი გვენება, ის აგვერჩია.***

* * *

უაღრესად ხელხვავიანი შემოქმედი, ყველა ჟანრში წარმატებას რომ მიაღწევდა: ნოველისტიკაშიც, რომანისტიკაშიც, დრამატურგიაშიც – როგორც ისტორიული ტრაგედიები, ისე თანამედროვე დრამები და კომედიები, ლიტერატურულ და პოლიტიკურ ესეისტიკაშიც, მისი ლიტერატურული ნაღვაწი ოც ტომს რომ აღემატება.

უპირველესად მისი სახელი მაინც დაუკავშირდა 24-წიგნიანი რომანების ციკლს: „მატიანე ქართლისაი“, რომელიც გარდა მხატვრული ღირსებისა, გამოირჩევა იმ მხრივაც, რომ მიუკერძოებლად წარმოსახა საქართველოს დრამატული, მეტიც – ტრაგიკული ყოფა ბოლშევიკურ-კომუნისტური სასტიკი რეჟიმისა და რუსეთის იმპერიის აგრესიის პირობებში. აგრეთვე პოსტსაბჭოთა რეალობაშიც – სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ – საქართველოს თავს დატეხილი უამრავი უბედურება, კვლავაც რუსეთი რომ ლამობდა მის დათრგუნვას.

თანაც ეს ყოველივე ხდებოდა არა მწერლისთვის უხიფათო გარემოში, არამედ დრამატულ და ტრაგიკულ მოვლენათა კვალზევე, როდესაც ხელისუფლება, ცენზურა და ჩეკისტური კრიტიკა დევნასა და შევიწროებაში ამყოფებდა – ძალზე უძნელებდნენ ბეჭდვას, თავს ესხმოდნენ პრესაში, ლიტერატურულ თუ ოფიციალურ პარტიულ თავყრილობებზე და რამდენჯერმე დაპატიმრებასაც გადაურჩა.

მისი „მატიანე ქართლისაი“ არაერთხელ შეუდარებიათ უილიამ ფოლკნერის იოკნაპატოფას საგისთვის, რადგან ოთარ ჩხეიძის რომანების ციკლიც საქართველოს საზოგადოების საგად წარმოდგება – ბედისწერად უძველესი კულტურის ერისა, რომლის გადაგვარებაც და შერწყმაც ვერ შეძლო რუსეთის იმპერიამ და ამიტომაც – თვით იმ უმძიმეს პირობებშიც – XIX - XX საუკუნეებში – შინაგანად დასავლეთისაკენ მიისწრაფოდა, რათა სახელმწიფოებრიობის დაბრუნებისთანავე კვლავ ეძებნა პოლიტიკური გზები დასავლეთთან დასაახლოებლად, იმ კულტურულ წრესთან, რომლის უშუალო ნაწილიც ვიყავით, ვიდრე მე-13 საუკუნის მერე გადაგვეკეტებოდა უშუალო სიახლოვე, თუ ცალკეულ სასიკეთო გარღვევებს არ ვიგულისხმებთ.

ერთი ასეთი მოვლენა გახლდათ 1832 წლის შეთქმულება რუსეთის ბატონობის დასამხობად და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად, რომანტიკული ყაიდის წინააღმდეგობის მოძრაობა, რომელიც ერთ-ერთი რგოლი აღმოჩნდა საერთაშორისო პროცესებისა იმჟამინდელი აჯანყებებისა ევროპაშიც – პოლონეთი, იტალია, ბალკანეთი – და სამხრეთ ამერიკაშიც.

და როდესაც ოთარ ჩხეიძემ დაწერა ბიოგრაფიული რომანი ლორდ ბაირონზე, გამოარჩია მისი ცხოვრების იტალიური ხანა და მონაწილეობა კარბონარების აჯანყებაში ავსტრიის უღლის გადასაგდებად, რითაც გამჭვირვალე ქვეტექსტით გამოხატა 1832 წლის შეთქმულებაც და საქართველოს გაუნელებელი ძიებაც თავისუფლების მოსაპოვებლად.

როდესაც იგი შემოვიდა სალიტერატურო ასპარეზზე, მეოცე საუკუნის 30-40 წლების მიჯნაზე, ახალი ჩავლილი იყო 1937 წლის გრანდიოზული რეპრესიები, რომელსაც შეეწირნენ მწერლებიც: მიხეილ ჯავახიშვილი, პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე... რეჟისორი სანდრო ახმეტელი, უშუალოდ დაახლოებული მწერლობასთან და მოწადინე ალექსანდრე ბატონიშვილის ანტირუსული ბრძოლების გაცოცხლებისა სცენაზე... გრიგოლ რობაქიძემ ემიგრაციაში გაასწრო, თორემ ისიც უსათუოდ ემსხვერპლებოდა რეპრესიებს... აღარაფერს ვამბობთ არაერთ მწერალზე, ციხე-გადასახლებას რომ იწვნევდნენ.

მწერლობა დათრგუნვილი იქნებოდა, აღმსრულებელი პარტიულ-კომუნისტური მოთხოვნებისა: არ უნდა გაჭაჭანებულიყო თხზულებებში ადამიანური გრძნობები, რაც ბურჟუაზიულ გადმონაშთად ითვლებოდა: უნდა ყოფილიყო მხოლოდ რევოლუციის რომანტიკა, კომუნისტური აღმშენებლობის ქება-დიდება, კოლმეურნეობისაგან მოტანილი სიკეთის ხოტბა.

მეორე მსოფლიო ომის დაწყება საქართველოში გააქტიურებდა ეროვნულ მოძრაობას და სახელმწიფოებრიობის აღდგენაზე ფიქრსა და მცდელობას შეეწირებოდნენ მწერლებიც: კოტე ხიმშიაშვილი, გიორგი ძიგვაშვილი, ადამ ბობღიაშვილი, არჩილ კიტოშვილი...

ამ ურთულეს პირობებში ოთარ ჩხეიძე შეეცდებოდა ლირიკული განცდებისა და შესაბამისი თემატიკის შემოტანას თავისი ნოველებით, რისთვისაც ულმობელ თავდასხმებს იწვნევდა ჩეკისტური კრიტიკისაგან.

ერესად ჩამოართმევდნენ თუნდ იმას, რომ: მოხუცი აკადემიკოსი დიდი ხნის განშორების შემდეგ მშობლიურ სოფელს დაუბრუნდებოდა და თავის აკვანს ჩაიხუტებდა გულში. ეს კრიტიკისა და ხელისუფლების თვალში ჩაითვლებოდა ანტისაბჭოურ ქმედებად: მეცნიერმა როგორ თუ აკვანი დაინახა და ვერ შენიშნა კოლმეურნეობის აყვავებული ბაღვენახები და ველ-მინდვრებიო.

მიხეილ ჯავახიშვილის დახვრეტას თითქოს უნდა დაეშინებინა იგი, რადგანაც თვალნათლივ გამოჩნდებოდა, თუ რა ელოდა მწერალს სიმართლის თქმისათვის, მაგრამ ამ სისხლიანმა აქტმა კიდევ უფრო გაუმაგრა გული ახალგაზრდა მწერალს და განაწყო თავგანწირული მოქმედებისათვის. მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა კავშირის ტრიუმფალური გამარჯვების შემდეგ ხელახლა გამწვავდებოდა სიმართლის დევნა და გიორგი ჟდანოვის გამოსვლა ლენინგრადის ჟურნალების წინააღმდეგ მოასწავებდა რეპრესიების ახალი ტალღის დაწყებას.

ოთარ ჩხეიძისა ჯერ ერთი სტრიქონიც არ ყოფილა თარგმნილი რუსულად, მაგრამ მწერალთა საკავშირო ყრილობაზე ნიკოლაი ტიხონოვი მკაცრად რომ გააკრიტიკებრამ ამ სისხლიანმა აქტმა კიდევ უფრო გაუმაგრა გული ახალგაზრდა მწერალს და განაწყო თავგანწირული მოქმედებისათვის. მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა კავშირის ტრიუმფალური გამარჯვების შემდეგ ხელახლა გამწვავდებოდა სიმართლის დევნა და გიორგი ჟდანოვის გამოსვლა ლენინგრადის ჟურნალების წინააღმდეგ მოასწავებდა რეპრესიების ახალი ტალღის დაწყებას.

ოთარ ჩხეიძისა ჯერ ერთი სტრიქონიც არ ყოფილა თარგმნილი რუსულად, მაგრამ მწერალთა საკავშირო ყრილობაზე ნიკოლაი ტიხონოვი მკაცრად რომ გააკრიტიკებ-

*სურათზე (მარჯვნიდან): რევაზ ჩხეიძე, გიორგი შენგელაია, ოთარ ჩხეიძე და ერლომ ახვლედიანი.*

ნდა ყოფილიყო ამ ნაბიჯებისა: ეროვნული ენა, ეროვნული ფერი, ეროვნული ეკლესია, ეროვნული ეკონომიკა, ეროვნული ეთნოგენეზი, ეროვნული ეთნოგრაფია, ეროვნული ეტიკეტი, ეროვნული ეტიმოლოგია, ეროვნული ეტიუდი, ეროვნული ეფემერიდა, ეროვნული ეფესელი, ეროვნული ეფექტი, ეროვნული ეფექტური, ეროვნული ეფექტურობა, ეროვნული ეფექტურობისა, ეროვნული ეფექტურობისაკენ, ეროვნული ეფექტურობისაკენ, ეროვნული ეფექტურობისაკენ

ტური იდეოლოგიიის სრული არარაობა.

გარდა დაუნდობელი კრიტიკული თავდასხმებისა, რომანს მკაცრად გამოეხმაურა ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვასილ მჟავანაძეც და მწერალს ბრალი დასდო ტენდენციურობაში, ბედნიერი და აყვავებული ცხოვრების დაუნახაობაში.

ამას მოჰყვა ოთარ ჩხეიძის კიდევ ერთი მძაფრი რომანი „მეჩეჩი“, თუ როგორ დევნიდა ხელისუფლება ხელოსნობას და საერთოდ ეროვნულ ადათ-წესებს. „მეჩეჩსაც“ არანაკლები რისხვა დაატყდა თავს და მწერალი მაშინაც ძლივს გადაურჩა დაპატიმრებას.

რაც შეეხება მომდევნო რომანს „ცთომილნი“, საჟურნალო ანაბეჭდები უშიშროების კომიტეტმა გამოითხოვა, მისმა ხელმძღვანელმა ალექსი ინაურმა ბიუროს სხდომაზე ის მოიხსენია ბორის პასტერნაკის რომანზე – „დოქტორ ჟივაგო“ – უარეს მოვლენად. ანაწყობი ჩაიშალა და სიმონ ჩიქოვანი, რომელიც აქამდე ერთგულად ედგა მხარში უმცროს თანამოკალმეს, მოხსნეს რედაქტორობიდან.

გარდა იმისა, რომ მწერალს თავს ესხმოდნენ მხატვრული მრწამსისთვის, თემატიკისთვის, მოვლენათა სრულიად განსხვავებული შეფასებისთვის, არანაკლები სასტიკით დაუპირისპირდნენ მის სტილურ არჩევანს, რადგანაც სტილიც კლასობრივ მოვლენად მიაჩნდათ და მოითხოვდნენ, რომ ყველა მწერალს ერთნაირად, ერთი მანერით ეწერა.

* * *

**ოთარ ჩხეიძე (ფრაგმენტი ქეთევან სადღობელაშვილის ტელეგადაცემიდან „ეპოქა“):**

– მე რომ მწერლობა დავიწყე, ძალიან გაუბრალოებული იყო სტილი, სტილი არ არსებობდა. რობაქიძე გაიქცა, გამსახურდია შერჩა; კაცი, რომელიც მართლა ცდილობდა და თავგადაკლული იყო ქართული ენისა და სტილისთვის. სხვა დანარჩენი მეტისმეტად გაუბრალოებული იყო. უნდა ითქვას, რომ წერდნენ მწერლები, რომლებმაც წერა არ იცოდნენ. რედაქციებში და გამომცემლობებში ისხდნენ სტილისტები. ასწორებდნენ, ზოგჯერ თავიდან ბოლომდე ასწორებდნენ. ეს გასწორებულიც უარესი იყო, ყოველ შემთხვევაში, უკეთესი არა. აი ამ ცუდს და უგემოვნოს დაპირისპირება სჭირდებოდა. რაღაც მკვეთრი, მკვეთრი სტილით. ამანაც გამოიწვია, მაგრამ უმთავრესი მაინც ის შინაგანია. ბუნებრივია, რასთანაც არ შეიძლება, არ უნდა ვიდავოთ, არ უნდა შევეჩვიოთ, ან თუ არ გვინდა, არ შევეჩვიოთ. ან უნდა მივიღოთ, ან თუ არ გვინდა, არ უნდა მივიღოთ.

* * *

**ოთარ ჩხეიძე არც ამ მხრივ შეჰპუებია საბჭოურ იდეოლოგიას და ენა აქცია პერსონაჟად, რაც სრულიად უჩვეულო მოვლენა გახლდათ ქართულ ლიტერატურაში.**

1967 წელს დაიწერა გვირგვინი მისი რომანების ციკლისა: „ბორიაყი“ – რომელიც ეძღვნებოდა 1924 წლის აჯანყებას საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღსადგენად ქაქუცა ჩოლოყაშვილის მეთაურობით. არადა, საბჭოთა ისტორიოგრაფიაში და მწერლობაში იკრძალებოდა ამ მოვლენის ხსენებაც და მისი მეთაურისაც.

და ამ პირობებში მაინც შეიქმნა ეს რომანი, რომელიც მოგვიანებით აღიარეს ქართული ბელეტრისტიკის მწვერვალად და მეოცე საუკუნის ქართული რომანისტიკის საუკეთესო მონაპოვრად.

ამ აჯანყების მარცხი მწერლის ოჯახმაც მწარედ იწვნია – მეამბოხეთა შორის ყოფნის გამო დახვრიტეს ოთარ ჩხეიძის მამა, ბიძა და პაპის ძმა, თვითონ მომავალი მწერალი კი პაპის ძმებმა სასწრაფოდ გამოარიდეს სოფელს და გადამალეს თბილისში, თორემ ოთხი წლის ბავშვსაც არ დაინდობდნენ და სიცოცხლეს მოუსწრაფებდნენ.

„ბორიაყის“ გამოქვეყნების პროცესი საკმაოდ გაჭიანურდა და მხოლოდ 17 წლის თავზე – 1984 წელს – ეღირსა სრული სახით გამოქვეყნება.

მანამდე ჟურნალ „ცისკრის“ ფურცლებზე ამოაკლეს ბოლო 5 თავი, რომელშიც ულმერთო ხოცვა-ჟლეტის სურათები იყო აღწერილი.

რამდენიმე წლის შემდგომ, როდესაც მომზადდა „ბორიაყის“ რუსული თარგმანი და გადაწყდა მისი გამოქვეყნება „ლიტერატურნაია გრუზიას“ ფურცლებზე, რედაქტორს მოსთხოვეს, რომ აუცილებლად ამოეღო ხუთი თავი. მან ეს თავები კი ამოაკლო, მაგრამ არა ისინი, რაც ქართულ პუბლიკაციას აკლდა, არამედ პირველი ხუთი.

ასე რომ: მკითხველი ქართულად იწყებდა რომანის კითხვას და რუსულად ამთავრებდა. ესეც კიდევ ერთი პარადოქსი ოთარ ჩხეიძის ცხოვრებაში, პარადოქსები ისედაც რომ არ მოჰკლებია.

შეიქმნა ამ რომანის კინოვერსიაც „ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა“ – გიორგი შენგელაიას ფილმებიდან საუკეთესო და კიდეც მოიპოვა „ვერცხლის დათვი“ ბერლინის კინოფესტივალზე. რომანში მწერლის ოჯახის თავს დატეხილი ტრაგედიაც იყო შესული, ფილმშიც შთამბეჭდავად რომ გადავიდა – როგორ არტყამენ ალყას მილიცია და უშიშროება ამ მშრომელ, სოფლისთვის თავდადებულ ადამიანებს, ხოლო პროტოტიპი იმ პერსონაჟისა, რომლის თანაკლასელიც აღმოჩნდება თბილისიდან საგანგებოდ მოვლენილი პირი და დაჰპირდება გაპარებას, ის კი თავის მაგივრად ახალგაზრდა მუსიკოსის გადარჩენას სთხოვს, მწერლის მამაა.




როდესაც მოხდა საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიასა და მისი მთავრობის დამხობა სამხედრო გადატრიალების შედეგად, ოთარ ჩხეიძემ, განუკითხაობისა და გამარჯვებული პუჩისტების პარპაშის პირობებში შექმნა რომანი „არტისტული გადატრიალება“, რომლის თაობაზე ითქვა: ოდესმე მას ისევე გამოიყენებენ ისტორიკოსები, როგორც შლიმანმა ჰომეროსის „ილიადაზე“ დაყრდნობით გათხარა ტროაო.

მწერალი მომდევნო რომანებში – „თეთრი დათვი“ იქნებოდა, „ბერმუდის სამკუთხედი“ თუ სხვანი – კვლავ განგაშის ზარს არისხებდა, რომ რუსეთი ადვილად არ ჩამოგვეხსნებოდა, არ გვაკმარებდა აფხაზეთის მხარისა და შიდა ქართლის მოზრდილი ტერიტორიის მიტაცებას და მოსალოდნელი იყო კიდევ ერთი შემოსევა. ეს მწერალს გადამეტებულ სიფრთხილედ ჩამოართვეს. არადა, 2008 წლის აგვისტოში ეს წინათგრძნობა ისევე ახდა, როგორც ოთარ ჩხეიძის არაერთი გაფრთხილება და წინასწარჭვრეტა.

გარდა იმისა, რომ შთამბეჭდავად და სიღრმისეულად გამოხატავდა მომხდარს, იგი მიეკუთვნებოდა მწერალ-წინასწარმეტყველებსაც.

როდესაც ოთარ ჩხეიძის მრავალფეროვანი შემოქმედება ჩაერთვის დასავლურ სამწერლო პროცესებში, აღმოჩნდება, რომ ის იმთავითვე ამ კულტურული წრის ნაწილი გახლდათ. ქართული და დასავლური აზროვნების შერწყმით გაიაზრებდა საზოგადებრივ-პოლიტიკურ მოვლენებს, გარდამტეხ თუ თავისებურად მნიშვნელოვან ეპიზოდებს, თანაც შიგნიდან ხედავდა საბჭოურ – კომუნისტურ რეჟიმს და კვალდაკვალ აშიშვლებდა მის იმ ფენებს, რაც დასავლელი მწერლებისთვის დაფარული რჩებოდა.

ოთარ ჩხეიძის მემკვიდრეობას აქვს პოლიტიკური, სოციალური, ფსიქოლოგიური, ფილოსოფიური, უპირველესად კი გამორჩეული მხატვრული მნიშვნელობა, დასავლური მკითხველი და სალიტერატურო კრიტიკა ამოუწურავ საბადოს რომ იპოვის ამ გრანდიოზული მემკვიდრეობის სახით.

**როსტომ ჩხეიძე**

# პრემია „წიგნის ქომაგი 2019“ მამუკა ხაზარაძეს გადაეცა

**საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციამ პრემია „წიგნის ქომაგი 2019“ მამუკა ხაზარაძეს გადასცა. დაჯილდოების ცერემონია მწერალთა სახლში გამართულ წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღის დასკვნით ღონისძიებაზე გაიმართა.**

პრემია „წლის წიგნის ქომაგი“ ასოციაციის ინიციატივით 2016 წელს დაარსდა და მას შემდეგ ყოველწლიურად გადაეცემა იმ ადამიანებსა თუ ინსტიტუციებს, რომლებიც წლის განმავლობაში განსაკუთრებულად უწყობენ ხელს საქართველოში წიგნიერების გავრცელებას. პრემიის უმთავრესი პირობაა, რომ დაჯილდოებული ადამიანი თუ ორგანიზაცია არ უნდა იყოს დასაქმებული წიგნის სფეროში და ლიტერატურისა თუ საგამომცემლო სფეროს განვითარება არ უნდა იყოს მისი უშუალო, პირდაპირი მოვალეობა.

მამუკა ხაზარაძეს ჯილდო გადაეცა „ლიტერატურული პრემია „საბას“ დაარსებისა და დღემდე ჩატარებული 16 დაჯილდოებისთვის, 3500-მდე შეფასებული წიგნისა და 151 გაცემული ჯილდოსთვის.

**პროექტისთვის „წერე ქართულად, რომელიც აერთიანებს ქართული ანბანის ციფრულ სამყაროში პოპულარიზაციის ინიციატივებს: შრიფტების შექმნის კონკურსს, ქართულ-ინგლისური ლექსიკონის გაციფრულებას და მაიკროსოფტთან ერთად შექმნილ პირველ ქართულენოვან პლატფორმას – kartulad.ge, რომლის მიზანია ქართული ენა დაინერგოს მაიკროსოფტის პროგრამებში.**

**ელექტრონული წიგნების სახლისთვის „საბა“, სადაც ამ დროისთვის განთავსებულია 5000-ზე მეტი ელექტრონული და ხმოვანი წიგნი, ჰყავს 174 000 რეგისტრირებული მკითხველი საქართველოსა თუ უცხოეთში.**

სოციალურ-საგანმანათლებლო პროექტისთვის „ქალაქი ბიბლიოთეკა“, რომლის საშუალებითაც მკითხველს შეუძლია გამოიყენოს მწერლების სახელობის ქუჩებსა და სკვერებში წარმოდგენილი უფასო ელექტრონული ბიბილიოთეკა, რამაც თავად ქალაქი აქცია საინტერესო მულტიმედიურ, ლიტერატურულ სივრცედ.

**პროექტისთვის „იკითხე მთაში“, რომლის ფარგლებში საქართველოს მთის კურორტებზე დამონტაჟდა უფასო ელექტრონული ბიბლიოთეკის სტენდები, ათობით ელექტრონული წიგნით. ასევე, 2015 წელს უფასო ელექტრონული ბიბლიოთეკა განთავსდა თბილისის მეტროშიც.**

**პროექტისთვის „შეხვედრის საბა-ბი“, რომლის ფარგლებში „საბას“ ლაურეატებმა წლის განმავლობაში საქართველოს სხვადასხვა კუთხეში იმოგზაურეს, მწერლები ადგილობრივ მკითხველებს შეხვდნენ, 15-მდე სოფლის სკოლას კი საჩუქრად სპეციალური სამკითხველო კუთხეები და „საბას“ ელექტრონული წიგნების ბიბლიოთეკა გადაეცათ.**

**პროექტის „წერე ქართულად“ ახალი კამპანიისთვის, რომლის ფარგლებშიც 2018 წელს ფრაზები ქართული ლიტერატურიდან განთავსდა ქალაქის 100-მდე გაჩერებზე, „თიბისი ბანკის“ ფილიალების ეკრანებზე და გარეგანერებზე. იგივე ბრენდინგით დაიბეჭდა ასობით მაისური და სხვადასხვა ტიპის საიმივჯო მასალა, რომელიც საქართველოს მასშტაბით დაურიგდათ აზრის ლიდერებს.**

და ბოლოს, 2018 წელს ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე საქართველოს, როგორც საპატიო სტუმრის პროექტში აქტიური ჩართულობისთვის – პროექტის „წიქარა – მუზეუმი მუზეუმში“ მხარდაჭერისა და, რაც მთავარია, ლიტერატურულ კონკურს „საბას“ დაჯილდოების საზეიმო ცერემონიის ფრანკფურტში, უმაღლეს დონეზე ჩატარებისთვის, რამაც ქართულ სალიტერატურო სივრცეს მისცა კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი პლატფორმა საერთაშორისო არენაზე თავის წარმოსაჩენად.“

იმის გათვალისწინებით, რომ 2018 წელი გამორჩეული და, ფაქტობრივად, ისტორიული წელი იყო ქართული სალიტერატურო სფეროსთვის, ასოციაციამ „წიგნის ქომაგის“ კიდევ ერთი სიმბოლური, სპეციალური ჯილდო გადასცა თანამედროვე ქართველ მწერლებსა და გამომცემლებს.

იმისთვის, რომ სამომავლოდ 2018 წელი აღირიცხოს როგორც გარდამტეხი თარიღი ქართული საგამომცემლო სფეროსა და ლიტერატურის ისტორიაში. ეს ჯილდო, როგორც მუდმივმოქმედი ექსპონატი, გადაეცა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას წიგნის მუზეუმში გამოსაფენად.

# ტელეკომპანია „მაესტრო“ იხურება?

**ვრცელდება ინფორმაცია, რომ ტელეკომპანია „მაესტრო“ იხურება. არხზე აღარ გავა საინფორმაციო გამოშვება.** გავრცელებული ცნობით, „მაესტროს“ თანამშრომელთა ნაწილს უკვე შესთავაზეს ტელეკომპანია „იმედზე“ გადასვლა და ამ ეტაპზე მიმდინარეობს მოლაპარაკებები. „მაესტროს“ საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი გიორგი ფუტკარაძე დახურვასთან დაკავშირებით გავრცელებულ ინფორმაციას არ ადასტურებს.

**„შემიძლია გითხრათ, რომ სულ ცოტა ხნის წინათ გვქონდა თათბირი, სადაც დღის მიმდინარე ამბები დავგეგმეთ, ანუ ჩვეულ რეჟიმში ვაგრძელებთ მუშაობას. არხის დახურვასთან ან რეორგანიზაციასთან დაკავშირებით ჩემთვის არაფერია ცნობილი“,** – განაცხადა ფუტკარაძემ.

„პრაიმტაიმი“ ესაუბრა ტელეკომპანია „იმედის“ საინფორმაციო სამსახურის უფროსსაც. თუმცა, ნანა ლეჟავა „მაესტროს“ თანამშრომელთა ნაწილის „იმედზე“ გადასვლის შესახებ მოლაპარაკებებს არ ადასტურებს.

 შეგახსენებთ, რომ „მაესტრო“ 2017 წლის ივნისიდან ტელეკომპანია „იმედის“ შენობიდან მაუწყებლობს.

# „ᲒᲐᲜᲐᲩᲔᲜᲘ ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲡᲐᲩᲘᲕᲠᲔᲑᲐᲡ ᲐᲠ ᲔᲥᲕᲔᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔᲑᲐ“

ᲚᲐᲕᲠᲔᲜᲢᲘ ᲑᲔᲠᲘᲐ ᲛᲔᲣᲦᲚᲔᲡᲗᲐᲜ, ᲨᲕᲘᲚᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲠᲫᲐᲚᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ

**ᲡᲐᲐᲛᲘᲡᲝᲓ 1953 ᲬᲚᲘᲡ 13 ᲛᲐᲠᲢᲡ** შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით შეიქმნა საგამოძიებო ჯგუფი დაპატიმრებულ ექიმთა საქმეზე; სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების ყოფილ მუშაკთა საქმეზე, რომლებსაც ბრალად ედებოდათ სამინისტროში კონტრრევოლუციური სიონისტური ორგანიზაციის შექმნა; სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს სამმართველოს ყოფილ მუშაკთა საქმეზე (1952 წელს დააპატიმრეს მინისტრის მოადგილე, მარშალი ნ. იაკოვლევი, შეიარაღების მინისტრის მოადგილე გენერალი ი. მირზახანოვი, მთავარი სამმართველოს უფროსი გენერალი ი. ვოლკოტრუბენკო, რომლებსაც ბრალი დასდეს მავნებლურ საქმიანობაში); საქართველოს სსრ მოქალაქეთა ჯგუფის საქმეზე, ე.წ. „მეგრელთა საქმე“... საგამოძიებო ჯგუფის ხელმძღვანელობა დაევალათ ბერიას პირველ მოადგილეებს ს. კრუგლოვს, ბ. ქობულოვსა და საბჭოთა არმიისა და სამხედრო საზღვაო ფლოტის კონტრდაზვერვის ხელმძღვანელს, გენერალ-პოლკოვნიკ ს. გოგლიძეს). ბრძანების შესასრულებლად მიეცათ ორი კვირა.

და დაიწყო სკკპ ცკ-ის ბომბარდირება ბერიას წერილებით.

ბერია მოითხოვდა, რომ სკკპ ცკ-ის პრეზიდიუმის დადგენილებებს გამოქვეყნებისას დართვოდა მის მიერ ხელმოწერილი განმარტებითი წერილები და სხვა მასალები, რომლებითაც ბერია ემიჯნებოდა მასობრივ რეპრესიებში დამნაშავეებს, უფრო მეტიც, გამოდიოდა დამნაშავეობრივი პოლიტიკის გამტარებელთა მოსამართლედ.

**1953 ᲬᲚᲘᲡ 13 ᲛᲐᲘᲡᲡ ლ. ბერიამ წერილი მისწერა მალენკოვის სამდივნოს და უკვე 20 ᲛᲐᲘᲡᲡ სკკპ ცკ-ის პრეზიდიუმმა თავის სხდომაზე მიიღო დადგენილება, რომლითაც დამტკიცდა ბერიას მიერ წარდგენილი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების პროექტი „საპასპორტო შეზღუდვებისა და რეჟიმული ადგილების გაუქმების შესახებ“, რომლითაც გაუქმდა საპასპორტო შეზღუდვა სსრ კავშირის 300-ზე მეტ ქალაქში, დასახლებასა და სსრ კავშირის საზღვრის გასწვრივ რეჟიმულ ზონაში.**

**1 Ა�პᲠᲘᲚᲡ ბერიამ მალენკოვს მიმართა წერილით ექიმ-მავნებელთა საქმის მონაწილეთა რეაბილიტაციის შესახებ და უკვე 3 აპრილს გამოვიდა ცკ-ის პრეზიდიუმის დადგენილება ამ საქმის ფალსიფიცირებისა და ცილდაწამებულთა რეაბილიტაციის შესახებ.** აკადემიკოსი ა. სახაროვი თავის „მოგონებებში“ წერს, მაშინ პირველად წავიკითხე „პრავდაში“ სტატია შეუნელებელი ინტერესითო“.

**2 ᲐᲠᲘᲚᲡ ახალი წერილი გაეგზავნა მალენკოვს „ს. მიხოელსისა და ვ. გოლუბოვის მკვლელობაში დამნაშავე პირთა სისხლის სამართალში მიცემის შესახებ“, სადაც ბერიამ ფარდა ახადა სსრ კავშირის სახალხო არტისტის, ებრაული ანტიფაშისტური კომიტეტის ერთ-ერთი აქტიური წევრის ს. მიხოელსისა და კრიტიკოს გოლუბოვის (როგორც შემდეგ გაირკვა, სახ. უშიშროების კომიტეტის აგენტის) მკვლელობას მინსკში 1948 წელს.**

**8 ᲐᲠᲘᲚᲡ ბერიამ მალენკოვსა და ხრუშჩოვს გაუგზავნა წერილი „ე.წ. მეგრელთა ჯგუფის საქმის არასწორად წარმოების შესახებ“, სადაც გამოკვეთილად იყო თქმული, თუ როგორ დაიწყო და როგორ წარიმართა ეს ფალსიფიცირებული „საქმე“. ამას უკვე 10 აპრილს მოჰყვა ცკ-ის პრეზიდიუმის დადგენილება „ე.წ. მეგრელთა ნაციონალისტური ჯგუფის საქმის ფალსიფიკაციის შესახებ“.**

**1953 ᲬᲚᲘᲡ 4 ᲐᲠᲘᲚᲡ გამოიცა შინაგან საქმეთა მინისტრის ლ. ბერიას ბრძანება „დაპატიმრებულთა მიმართ იძულების რაიმე ღონისძიებისა და ფიზიკური ზემოქმედების გამოყენების აკრძალვის შესახებ“(!).**

**17 ᲐᲠᲘᲚᲡ მოხდა არტილერიის მარშლის ნ.დ. იაკოვლევის, გენერალ-პოლკოვნიკ ი. ვოლკოტრუბენკოს, შეიარაღების მინისტრის მოადგილის ი.ა. მირზახანოვის რეაბილიტაცია.**

**6 ᲘᲕᲜᲘᲡᲡ გაუქმდა განაჩენი ავიაციის მარშლის ა.ა. ნოვოკოვის, საავიაციო მრეწველობის ყოფილი სახკომის ა.ი. შახურინისა და სხვათა მიმართ.**

ძალზე სპეციფიკური იყო ლავრენტის დამოკიდებულება არასასამართლო ორგნოებისადმი.

**1938 წლის 17 ნოემბერს მისი დაჟინებით აიკრძალა ყბადაღებული „დვოიკები“ და „ტროიკები“, რომლებიც რეპრესიების, უკანონობის სიმბოლოები იყო (სამართლიანობის მიზნით უნდა ითქვას, რომ „ტროიკები“ 1940 წელს მოკლე დროით ისევ დაბრუნდა „აუცილებლობის“, „ოპერატიული ვითარების“ გამო, რაც შეეხება „საგანგებო თათბირებს“, ისინი 1945 წლის სექტემბრამდე შემორჩა).**

რაღაც არ ჰგავს ეს „პათოლოგიური ჯალათის“ ნაბიჯებს?

ამრიგად ბერიამ აქტიურად მოჰკიდა ხელი როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის პრობლემებს. გადაწყვეტის მსვლელობისას გამოიკვეთა წინააღმდეგობა მასა და ცკ-ის პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს დანარჩენ წევრთა შორის, რომლებმაც მშვენივრად იცოდნენ პოლიტიკური რეპრესიების მილიონობით მსხვერპლის შესახებ და სულაც არ ჩქარობდნენ, გაეთავისუფლებინათ უდანაშაულო ადამიანები, რომლებიც იტანჯებოდნენ ციხეებში, ბანაკებსა და გადასახლებაში.

უფრო მეტიც: ცეკას ივლისის პლენუმზე გაისმა ბერიას კრიტიკა იმისთვის, თუ რა გზებით მოახდინა მან ექიმების რეაბილიტაცია. სკკპ ცკ-ის მდივანმა შატალინმა განაცხადა, „ეს გაკეთდა ჩვენი სახელმწიფოს ინტერესების დაზარალების ხარჯზეო(?)“. იგი ცეცხლს ანათებდა, რისთვის იყო საჭირო ამ საკითხის პრესაში გამოტანაო?

მას მხარი დაუჭირა ლ. კაგანოვიჩმა: თქვენ ყველამ იცით, რომ ეს მოწოდებულ იქნა სენსაციურად, ისე, რომ ზოგიერთში წინააღმდეგობისა და წაქეზების რეაქცია წარმოშვაო! (არ დაგავიწყდეთ, სწორედ კაგანოვიჩის „ჩაწოდებით“ მიიღეს და დანერგეს 30-იან წლებში თავზარდამცემი „სამეულები“).

**ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საქმე, რომელიც ლავრენტი ბერიამ განახორციელა თავის ახალ იპოსტასში, იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმისადმი მიმართული 1953 წლის 26 მარტის დეტალურად დამუშავებული წერილი ამნისტიის გამოცხადების შესახებ და მისი შემდგომი მოვლენები.**

საინტერესო დეტალი: წერილი გაიგზავნა პარტიის ცეკაში, ადრესატი კი იყო... გიორგი მალენკოვი. როგორც ჩანს, ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში ჯერ კიდევ ყველაფერი ბოლომდე დალაგებული არ იყო, ხრუშჩოვს კი ბერია სერიოზულად არ იღებდა. უკვე 27 მარტს სკკპ ცკ-მა მიიღო გადაწყვეტილება ამნისტიის შესახებ: **„დღეისთვის გამასწორებელ-შრომით ბანაკებში და კოლონიებში იმყოფება 2526402 ადამიანი. ამნისტია ითვალისწინებს პატიმრობის ადგილებიდან მილიონი ადამიანის გათავისუფლებას, რომლებსაც მისჯილი აქვთ 5 წლამდე ვადით პატიმრობა, ქალები, რომლებსაც ჰყავს 10 წლამდე ასაკის შვილები და ორსული ქალები, 15 წლამდე ასაკის არასრულწლოვნები, ხანში შესული ქალები და კაცები, მძიმე სენით დაავადებული ავადმყოფები. სასჯელის ვადა გაუნახევრდეთ 5 წლის მეტი ვადით მსჯავრდებულებს“.**

ამნისტია, ბუნებრივია, არ გავრცელდა 5 წელზე მეტი ხნის ვადით მსჯავრდებულებზე კონტრრევოლუციური მოღვაწეობისთვის, ბანდიტიზმისთვის, განზრახ მკვლელობისთვის, მსხვილი დატაცებისთვის.

**ყველაზე საინტერესო იყო წინადადება სისხლის სამართლის კანონმდებლობის გადახედვის შესახებ, მძიმე დანაშაულებისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ადმინისტრაციული და დისციპლინური ხასიათის ღონისძიებებით შეცვლის მიზნით.**

ამნისტიის ჩატარებისთვის ბერიას ივლისის პლენუმზე, როგორც იტყვიან, ტყავი გააძვრეს — თითქოს ამნისტიამ ბიძგი მისცა დამნაშავეობის მკვეთრ ზრდას. შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ციხეებიდან და ბანაკებიდან გამოვიდნენ თავზეხელაღებული ბანდიტები და მკვლელები და არა, მოხუცები და მოზარდები, უიმედო ავადმყოფები და ორსული ქალები.

SIC! — ნებისმიერ ქვეყანაში ამნისტია დროის რაღაც მონაკვეთში ძალას ჰმატებს დამნაშავეობას!

ამრიგად, ბერიას არ ჩაუთვალეს ყველაზე სასიკეთო საქმეზეც კი — 1 მილიონი ადამიანის ამნისტირება. და ეს „ბრალდება“ ლამის დღემდე გრძელდება.

გასული საუკუნის 80-იან წლებში გამოვიდა „მოსფილმის“ ნამუშევარი „53-ის ცივი ზაფხული“. ალბათ გახსოვთ ამ ფილმის შინაარსი, თუ რა დღეს დააყრის ამნისტირებულთა ჯგუფი ერთ დასახლებას: ძარცვავენ, აუპატიურებენ, კლავენ, როგორ აღდგება მათ წინააღმდეგ შეურაცხყოფილი ხალხი და ხელჩართული ბრძოლით გაანადგურებენ მომხვდურებს.

**1953 ᲬᲚᲘᲡ** ზაფხულისთვის ბერიას უწყებაში დაგროვდა მასალები, რომლებსაც მალენკოვის, ხრუშჩოვისა და ცკ-ის პრეზიდიუმის სხვა წევრთა დისკრედიტირება შეეძლო. მან დააყენა ცკ-ის ყოფილი მდივნისა და სახელმწიფო უშიშროების მინისტრის ს.დ. იგნატიევის — მალენკოვის პროტეჟეს დაპატიმრების საკითხი. დააპატიმრეს სახუშიშროების სამინისტროს ყოფილი განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა საგამოძიებო ნაწილის უფროსი გ.დ. რიუმინი (იგი, სხვათა შორის, მონაწილეობდა „მეგრელთა საქმის“ გამოძიების პროცესში, მთელი საგამოძიებო ჯგუფი ჰყავდა ჩამოყვანილი მოსკოვიდან თბილისში); მას შეეძლო, ჩვენება მიეცა მალენკოვსა და ხრუშჩოვზე, როგორც რეპრესიების მონაწილეებზე.

ბერიას აქტიურობა, დასახული ამოცანების გადაჭრის მოულოდნელი გზები, მას მალენკოვის, ხრუშჩოვისა და სტალინური პოლიტბიუროს სხვა წევრთა თვალში სასიკვდილოდ საშიშ კონკურენტად აქცევდა. მათთვის გამაერთიანებელ ფაქტორად იქცა ამ კაცის მიმართ შიში: ბერიამ ძალიან ბევრი იცის და შეესაძლოა, საჭირო დროს გამოიყენოს მის ხელთ არსებული მაკომპრომეტირებელი მასალები თანაგუნდელებისთვის გადამწყვეტი დარტყმის მისაყენებლადო. ბრძოლის ლოგიკა და განვლილი წლების პრაქტიკა უკარნახებდათ, რომ ერთადერთი სწორი გზა სახიფათო „მეგობრისგან“ თავის დახსნისა, იყო მისი სრული დისკრედიტაცია პარტიისა და ხალხის თვალში და ფიზიკური მოცილება.

ბერია დააპატიმრეს **1953 ᲬᲚᲘᲡ 26 ᲘᲕᲜᲘᲡᲡ,** რაც წინასწარ იყო დაგეგმილი და მომზადებული: ამის შესახებ პლენუმის მრავალმა მონაწილემ განაცხადა. „ბერიას დაეჭვება რომ არ გამოეწვიათ, — ჰყვება ხრუშჩოვი, — დაინიშნა მინისტრთა საბჭოს სხდომა, ხოლო ცკ-ის წევრები, რომლებიც არ შედიოდნენ მინისტრთა საბჭოში, სპეციალურად მიიწვიეს, შემდეგ კი სხდომას მიმართულება შეეცვალა...“

ლავრენტის ვაჟი სერგო ბერია თავის წიგნში „მამაჩემი ლავრენტი ბერია“ უარყოფს დაპატიმრების და შემდეგ გასამართლების ვერსიას. **გვიამბობს, რომ იმ საბედისწერო 1953 ᲬᲚᲘᲡ 26 ᲘᲕᲜᲘᲡᲡ მას დაურეკა მეგობარმა მფრინავმა, საბჭოთა კავშირის ორგზის გმირმა ახმეტ-ხან სულთანმა და აცნობა, თქვენი სახლი გარშემორტყმულია სამხედროებით, იყო სროლა, სახლიდან გამოიტანეს ვიღაცის ბრეზენტგადაფარებული გვამიო. ამის საფუძველზე ბატონი სერგო დარწმუნებული იყო, რომ არავითარი საიდუმლო სხდომა არ ყოფილა, მამამისი შეთქმულებმა მოკლეს სახლში, გვამი ჩუმად გაიტანეს და გააქრეს.** ამის შესახებ მან მიამბო თბილისში ყოფნისას, გარდაცვალებამდე (2000 წ.) ცოტა ხნით ადრე.

**სხვათა შორის, ასეთივე ვერსია აქვს გადმოცემული გამოჩენილ ეპიდემიოლოგსა და იმუნოლოგს, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, გენერალ პეტრე ნიკოლოზის ძე ბურგასოვს (1915-2006). იგი უკანასკნელი იყო იმათ შორის, ვინც ბაქტერიოლოგიურ იარაღს ქმნიდა სსრ კავშირში. მან მართლაც ბევრი რამ იცოდა, ბერია მისი უშუალო უფროსი იყო, პირადად კურირებდა მის ჯგუფს.**

**სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე პ. ბურგასოვმა გამოსცა წიგნი „მე მჯეროდა“ (ოღონდ მხოლოდ 1000 ეგზემპლარი დაიბეჭდა), სადაც გულახდილად თქვა დროსა და თავის თავზე, ფარდა ახადა XX საუკუნის მრავალ საიდუმლოს, იმავდროულად კაცობრიობა გააფრთხილა მოსალოდნელ საშიშროებათა შესახებ. წიგნის ერთი მონაკვეთი ეძღვნება თავისი ყოფილი უფროსის დაღუპვას, რაც ძირეულად განსხვავდება ოფიციალური ვერსიისგან.**

**ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ** პლენუმზე მალენკოვმა აღიარა, რომ საკითხი, რა ექნათ ბერიასთვის, წამოიჭრა 12 ივნისს, მისი მორიგი წერილის განხილვისას. პრეზიდიუმის ცალკეული წევრების სეპარატისტული მოლაპარაკებები კვირაზე ცოტა მეტ ხანს გრძელდებოდა. ამ მოლაპარაკებების ორგანიზატორები მალენკოვი და ხრუშჩოვი იყვნენ. აუცილებელ შემთხვევაში, მაგალითად, ვოროშილოვთან გასასაუბრებლად, მოლოტოვსაც ჩართავდნენ ხოლმე.

ცკ-ის პრეზიდიუმის ყველა წევრი როდი ეთანხმებოდა მალენკოვისა და ხრუშჩოვის „დასაბუთებებს“ და სწორედ ამიტომ იყო ღირებული პოლიტბიუროს უძველესი წევრის მოლოტოვის აზრი. 26 ივნისისთვის ცკ-ის პრეზიდიუმის ყველა წევრმა (ბუნებრივია, ბერიას გარდა) იცოდა მომავალი სხდომის ხასიათი. ფაქტობრივად, ეს იყო პოლიტბიუროს შეთქმულება მისი ერთ-ერთი წევრის წინააღმდეგ. წარმოდგენილი იყო შეთქმულების ყველა ელემენტი: მკაცრი კონსპირაცია, ბრალდებათა ჩამონათვლის საიდუმლო მზადება, სცენარის შემუშავება, კულისებს მიღმა მოლაპარაკებები და როლების განაწილება, გენერლებისა და ოფიცრების შეიარაღებული ჯგუფის ფორმირება, რომელსაც დაპატიმრება უნდა მოეხდინა.

**ᲐᲚᲔᲥᲝ ᲐᲡᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ.**

**(გაგრძელება მორიგ ნომერში)**

**ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ. ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲘᲮ. №23**

# საფეხბურთო მოზაიკა

**შვედური „გიოტებორგის“ ქართველი ლეგიონერი ამსტერდამის „აიაქსის“ თვალთახედვის არეშია. ELF Voetbal-ის ინფორმაციით, უკვე კარგა ხანია ჰოლანდიური გრანდი გიორგი ხარაიშვილს აკვირდება.**

კონკრეტულ დეტალებს აღნიშნული წყარო არ ახმაურებს, თუმცა, წერს, რომ „აიაქსის“ სასურველ ფეხბურთელთა სიაში 22 წლის ქართველი შემტეკვიც იმყოფება და, არაა გამორიცხული, ტრანსფერი მომავალში შედგეს. შეგახსენებთ, რომ გიორგი ხარაიშვილი „საბურთალოს“ აღზრდილია, ხოლო შვედეთში ერთი წლის წინათ გადავიდა, სადაც პირველივე სეზონი წარმატებით ჩაატარა და 27 მატჩში 9 გოლის გატანა შეძლო. აქვე გეტყვით, რომ გასული წლის მიწურულს გიორგიმ შვედურ გუნდთან სრულფასოვანი კონტრაქტი გააფორმა, რომელიც ძალაში 2022 წლის ზაფხულამდე იქნება.

* * *

**ემილიანო სალას დაკარგული თვითმფრინავის ნაწილები თითქმის ორი კვირის შემდეგ გერნსის კუნძულთან ახლოს, ლა მანშის ფსკერზე იპოვეს.**

მომხდარის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობეს სალას ოჯახს, მაგრამ ამ დროისთვის დაუდგენელია და არ ვრცელდება ცნობა არგენტინელი ფეხბურთელისა და პილოტის ცხედრების შესახებ. როგორც შევიტყვეთ, უახლოეს რადიუსში მათი ძებნა გრძელდება.

შეგახსენებთ, რომ 22 იანვარს ემილიანო სალა ნანტიდან კარდიფში მიფრინავდა, როდესაც ლა მანშის სრუტის თავზე მყოფი ლაინერი რადარებიდან გაქრა. მას შემდეგ ორი კვირა გავიდა, მაგრამ ჯერჯერობით დაკარგულ ადამიანებს ვერ მიაკვლიეს.

* * *

**პრემიერლიგის 25-ე ტურში „მანჩესტერ იუნაიტედმა“ გასვლაზე „ლესტერი“ 1:0 დაამარცხა.**

მას შემდეგ, რაც ოლე გუნარ სოლსკიაერი მთავარ მწვრთნელად დაინიშნა, გუნდმა 10-დან ცხრა შეხვედრა მოიგო და ერთი ფრედ დაასრულა, ხოლო უშუალოდ პრემიერლიგაში 8-დან შვიდში გაიმარჯვა. ინგლისის ჩემპიონატში მანჩესტერელებმა ბოლო რვა შეხვედრაში 22 ქულა მოიპოვეს, რაც საუკეთესო შედეგია. მეორე ადგილზე 18 ქულით „ტოტენჰემია“, ხოლო მესამეზე — „ლივერპული“ 16 ქულით. შედარებისთვის მოგახსენებთ, რომ მოურინიოს შვიდი შეხვედრის მოსაგებად 17 მატჩის ჩატარება დასჭირდა.

**გიორგი შოთაძე**

◎ ლეგიონერი

# „სამეფო კლუბი“ რას მიქვია ნ...

**გიორგი შერმადინის „უნიკახამ“ ესპანურ ლიგა ენდესაში მადრიდის „რეალს“ საოცარი მატჩი მოუგო, რაშიც ქართველმა კალათბურთელმა დიდი წვლილი შეიტანა.**

მალაგელებმა „სამეფო კლუბთან“ 21-ქულიანი ჩამორჩენა აღმოფხვრეს, თამაში ოვერტაიმში გადაიყვანეს, საბოლოოდ კი დრამატიზმით აღსავსე შეხვედრაში 103:102 იმარჯვეს.

შერმადინი სასტარტო ხუთეულში გამოჩნდა და 28 წუთში ორმაგი დუბლი შეასრულა. გიორგიმ 8-დან 6 ორქულიანი და 7-დან 6 საჯარიმო ჩააგდო და 18 ქულას 10 მოხსნა (4 შეტევაში) წაამატა.

ქართველმა ცენტრმა ბურთი მხოლოდ ერთხელ დაკარგა, 2 პერსონალური ფოლი მიიღო, მის წინააღმდეგ კი 5-ჯერ დაჯარიმდნენ. შედეგად, ჩვენებურის სარგებლიანობის კოეფიციენტი 27-ს გაუტოლდა და ის მასპინძელთა რიგებში მხოლოდ ხაიმე ფერნანდესს (34) ჩამორჩა, რომელმაც 27 ქულას 9 პასი და 5 ჩაჭრა წაამატა, თანაც მატჩის მომგები სამქულიანიც ჩააგდო.

„უნიკახამ“ 12 მოგება და 7 მარცხი მოაგროვა და სატურნირო ცხრილში თად მაკფადენის „იბეროსტარ ტენერიფესთან“ ერთად მეხუთე-მეექვსე ადგილებს ინაწილებს, მომდევნო შეხვედრას კი 9 თებერვალს, ისევ შინ, „მანრესასთან“ გამართავს.

**ვიტალი ჯაფარიძე**

◎ რაგბი

# ელიტამ ასე დაიწყო

**6 ერის 2019 წლის გათამაშების პირველივე ტურში სუპერშერკინება ვიხილეთ. ტურნირის ფავორიტთა ჯახში ინგლისმა ირლანდიას შანსი არ დაუტოვა და დუბლინის „ავივა სთედიუმზე“ 32:20 სძლია.**

ედი ჯონსის შეგირდებმა მასპინძლებს ყველა კომპონენტში აჯობეს და რომ არა „სამყურების“ მიერ დადებული პრესტიჟის ლელო, სხვაობა საერთოდაც შთამბეჭდავი იქნებოდა.

სტუმართაგან ლელოები მეიმ, დეილიმ და სლეიდმა (2) დადეს, შეხვედრის საუკეთესო მორაგბედ კი ბურჯი მაკო ვუნიპოლა აღიარეს, რომელმაც უდიდესი სამუშაო გასწია.

კურიოზული გამოდგა ელიოტ დეილის ლელო, რომელმაც წინა დღით გამართული საფრანგეთისა და უელსის შეხვედრა (19:24) გაგვახსენა. ინგლისელთა გადაკიდებული ბურთი ხელიდან ჯონათან სექსტონს გაუვარდა, დეილიმ კი საჩუქარი კარგად შეირგო.

სხვათა შორის, მე-2 ტაიმში სექსტონმა ბურთი და სალელოე შეტევა უკვე სლეიდს გადააბარა და მატჩის მთავარ ანტიგმირადაც იქცა მიუხედავად იმისა, რომ დარტყმა არ გაუცუდებია და ირლანდიელებს გარდასახვა-ჯარიმებით 10 ქულა შესძინა.

მოსალოდნელი შედეგი დაფიქსირდა ედინბურგის „მარიფილდზე“, სადაც შოტლანდიელები 6 ერის აშკარა აუტსაიდერ იტალიას დაუხვდნენ და 33:20 მოიგეს.

გრეგორ თაუნსენდის შეგირდები მეტოქეს შესუსტებული შემადგენლობით ეთამაშნენ, თუმცა, ეს უთანასწორო ბრძოლას არ დატყობია.

საათის თავზე სქოთებს უკვე 5 ლელო ჰქონდათ დადებული და აპენინელებს 33:3-ს უგებდნენ, რის შემდეგაც ინიციატივა სტუმრებს გადაულოცეს. იტალიამ აღნიშნულით კარგად ისარგებლა, დასკვნით ათ წუთში „ნარშავები“ 3-ჯერ დაალელოვა და ანგარიში შეალამაზა.

გასაკვირი არ ყოფილა, რომ მატჩის საუკეთესო მორაგბედ შოტლანდიელი ბლეირ კინგჰორნი აღიარეს. მასპინძელთა გარემარბმა 3 ლელოს დადება მოახერხა.

6 ერის მე-2 ტურის მატჩები მომავალ უქმეებზე შედგება: 9 თებერვალს შოტლანდია ირლანდიას მიიღებს, იტალია — უელსს, ხოლო 10-ში ინგლისი საფრანგეთს დაუპირისპირდება.

**კოგა კოგანიძე**

◎ სკანდალი

# ზურაბ დათუნაშვილი: „ან კარიერა უნდა დავასრულო, ან სხვა ქვეყნის სახელით ასპარეზობაზე ვიფიქრო“

ჭიდაობაში ევროპის ორგზის ჩემპიონმა ზურაბ დათუნაშვილმა თავის ოფიციალურ ფეისბუქგვერდზე განცხადება გამოაქვეყნა, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ.

„გამარჯობა. უპირველესად მინდა ყველა ადამიანს, ვინც ამ დღეებში ჩემ მიმართ მხარდაჭერა გამოხატა, კიდევ ერთხელ გადავუხადო მადლობა. ყველანაირად ვეცადე, რომ აბსოლუტურად ყველასთვის პირადად დამებრუნებინა პასუხი და მიუხედავად უამრავი წერილისა, მგონი, შევძელი. თუკი ვინმე შემთხვევით გამომრჩა, ბოდიში და მადლობა კიდევ ერთხელ, რომ გულთან მიიტანეთ ჩემი პრობლემა და გამონახეთ დრო, რათა გაგემხნევებინეთ. ჩემი განსაკუთრებული გაოცება გამოიწვია იმ ადამიანების ჩართულობამ, რომლებიც სპორტთან არც კი არიან დაკავშირებულნი, თუმცა, აქტიურად ჩაერთნენ ჩემი პრობლემის განხილვაში და დააფიქსირეს სწორი მოქალაქეობრივი პოზიცია — მადლობა, მეგობრებო.

მე რამდენიმე დღეა განვაახლე ინდივიდუალური ვარჯიში, თუმცა, ჯერჯერობით არ ვიცი, კონკრეტულად რისთვის ვემზადები, რადგან, მოგეხსენებათ, საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილი აღმკვეთი ღონისძიების მიხედვით, ფედერაციის პრეზიდენტი დარჩა თანამდებობაზე, მე კი აქამდეც არაერთხელ აღვნიშნე, რომ ჩემი ამ ხელმძღვანელობასთან მუშაობის გაგრძელება არის შეუძლებელი. ამ მოცემულობიდან გამომდინარე, ვდგები ჩემთვის უმძიმესი ორი არჩევანის წინაშე — ან დავასრულო კარიერა, ან ვიფიქრო სხვა ქვეყნის სახელით ასპარეზობაზე. ჩემთვის ჭიდაობა არის არა მხოლოდ საქმიანობა, არამედ ცხოვრების განუყოფელი ნაწილი. 21 წელზე მეტია ამ სახეობით ვარ დაკავებული და მის გარეშე არსებობა, უბრალოდ, არ შემიძლია. ასევე წარმოუდგენელია, ვიასპარეზო რომელიმე სხვა ქვეყნის სახელით — გულზე მქონდეს და ხელში დავიჭირო სხვა ქვეყნის დროშა, კვარცხლბეკზე დგომისას ვეღარ გავიგონო ჩემი სამშობლოს ჰიმნი და, თუკი ღმერთის წყალობით მოვიპოვებ მედალს, ეკუთვნოდეს რომელიმე სხვა ერს და არა ქართველ გულშემატკივარს.



თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნე, სამწუხაროდ, დღესდღეობით სწორედ ამ ორი უმძიმესი არჩევანის წინაშე აღმოვჩნდი. მინდა, ზემდგომ უწყებებს — საქართველოს მთავრობას, უშუალოდ კი სპორტის სამინისტროს, ოლიმპიურ კომიტეტსა და პარლამენტის სპორტის კომიტეტს კიდევ ერთხელ ვთხოვო, დაინტერესდნენ ჩემი პრობლემით და უფლებამოსილების ფარგლებში მიიღონ შესაბამისი გადაწყვეტილება. მთელმა ქვეყანამ ნახა, რომ ფედერაციის პრეზიდენტმა საჯაროდ დაარღვია წესდება და ჩაიდინა თანამდებობისთვის შეუფერებელი საქციელი. ასევე, ბოლო პერიოდში არაერთხელ ითქვა სხვა ტიპის დარღვევებზეც, თუმცა, გეგა გეგეშიძე ამ დრომდე აგრძელებს პრეზიდენტის პოსტზე მუშაობას.

მესმის, რომ ჩემი მდგომარეობა, შესაძლოა, აღიქმება ისე, როგორც ერთი სპორტსმენის პრობლემა, რომელიც მარტო აღმოჩნდა ხელმძღვანელი პირების უსამართლო მმართველობისა და ღიად გამოხატული ძალადობის პირისპირ, თუმცა, მინდა აღვნიშნო, რომ არც ისე მარტო ვარ, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს და პრობლემები, რომლებიც მე გავაჟღერე, არაერთ სპორტსმენს ეხება. ბევრი ნიჭიერი და პერსპექტიული ახალგაზრდა უკვე წავიდა ქვეყნიდან, ბევრიც იძულებული გახდა ჭიდაობისთვის თავი დაენებებინა და ეს პროცესი კიდევ უფრო გაღრმავდება, რაც მიგვიყვანს საგანგებო შედეგებამდე. როგორც იცით, ნაკრების ერთმა ნაწილმა ღიად დაუჭირა მხარი ფედერაციის პრეზიდენტს, ამიტომ ამ ეტაპზე არ მინდა იმ სპორტსმენების დასახელება, ვინც განსხვავებულად ფიქრობს, რადგან ეს შესაძლოა აღქმული იყოს, როგორც ჭიდაობის სამყაროს ორად გახლეჩვა, რაც რეალურად ასე არაა და სინამდვილეში პრობლემები, რომლებზეც ვსაუბრობ, საერთოა ყველასთვის და მოჭიდავეებს ერთმანეთში არანაირი დაპირისპირება არ გვაქვს.

შესაბამისად, მინდა მივმართო ყველას, ვისაც ხელეწიფება ჭიდაობის ფედერაციაში არსებული მდგომარეობის მოგვარება, მიიღოს შესაბამისი ზომები და ფედერაციას ჩამოაცილოს გეგა გეგეშიძე და მისი გარემოცვა, ხოლო თუ მიიჩნევა, რომ მას აქვს უფლებამოსილება გააგრძელოს თანამდებობაზე ყოფნა, მაშინ მირჩიეთ — დავასრულო კარიერა თუ წავიდე ქვეყნიდან?

ასევე მინდა ვთხოვო საზოგადოებას მაქსიმალურად დაინტერესდნენ მიმდინარე პროცესით, რადგან ჭიდაობის ფედერაცია არის საჯარო უწყება, ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან და თითოეული ადამიანის წინაშე არის ანგარიშვალდებული“ — განაცხადა დათუნაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი თამაზ (გეგა) გეგეშიძე სპორტის სასახლეში მასსა და ევროპის ორგზის ჩემპიონ ზურაბ დათუნაშვილს შორის მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის 1-ელი ნაწილით დააკავეს, თუმცა, გეგეშიძე 5000-ლარიანი გირაოთი გათავისუფლდა.

**მანუჩარ გიორგაძე**

სანთელი

# ღირსეულად განვლილი გზა...

## აკადემიკოს ნანა ხაზარაძის ხსოვნას

გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი **ნანა ხაზარაძე.**

ნანა ხაზარაძე 1931 წლის 4 თებერვალს, თბილისში, ქართული ინტელიგენციის ერთ-ერთ გამორჩეულ ოჯახში დაიბადა. მან თბილისის ქალთა მე-6 საშუალი სკოლა 1949 წელს ოქროს მედლით დაამთავრა. სკოლის დამთავრების შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. 1951 წელს სწავლა მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის ძველი ისტორიის განხრით განაგრძო, რომელიც 1955 წელს წარჩინების დიპლომით დაამთავრა. აქ შეისწავლა აქადური, ურარტული, ძველბერძნული და ლათინური ენები. მისმა სადიპლომო ნაშრომმა „ურარტუს საგარეო პოლიტიკა ძვ. წ. VIII საუკუნეში“ უმაღლესი შეფასება დაიმსახურა და გამოქვეყნების რეკომენდაცია მიიღო.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, ნ. ხაზარაძემ, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის აკადემიკოს გ. მელიქიშვილის მიერ დაარსებულ ძველი ისტორიის განყოფილებაში დაიწყო მუშაობა. 1957 წლიდან 2006 წლამდე იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ლაბორანტი, უმცროსი, უფროსი, წამყვანი და მთავარი მეცნიერთანამშრომელი, ძველი ისტორიის განყოფილების გამგე. 1990-2005 წლებში ხელმძღვანელობდა ქართველი ხალხის ეთნოგენეზისისა და ეთნიკური განვითარების კომპლექსური შესწავლის საპრობლემო ჯგუფს.

ნ. ხაზარაძემ 1973 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „აღმოსავლეთ მცირე აზიის ეთნიკური და პოლიტიკური გაერთიანებები ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში“, ხოლო 1985 წელს — სადოქტორო: „საქართველოს ძველი ისტორიის ეთნოპოლიტიკური პრობლემები (მოსხები)“. 1990 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება.

ნ. ხაზარაძის კვლევა-ძიებათა არეალი ურთულესი პრობლემატიკის შემცველია. ეს გახლავთ ძველი კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის ეთნოსების გენეზისის, ამავე დიდი რეგიონის ისტორიული გეოგრაფიის (ტოპონიმიკა, ორონიმიკა, ჰიდრონიმიკა), ძველაღმოსავლური დამწერლობებისა და ენის, ეკონომიკის და სოციალური ურთიერთობების, რწმენა-წარმოდგენების და კულტურის სხვადასხვა პრობლემატიკა; ქართული ტექნიკური ტერმინოლოგია, წმიდა ხის კულტი საქართველოში, ხეთურ-ქართული მითოლოგიური პარალელები, გვიანხეთური ხანის სამეფო — სამთავროები, ბიბლია და ქართველი ხალხის განსახლების ისტორია, თაბალის ისტორია და სხვა საკითხები.

ნ. ხაზარაძის მეცნიერულ შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ძვ.წ. I ათასწლეულის იეროგლიფური ლუვიური წარწერების კლასიფიკაციის და სტრუქტურის საკითხების შესწავლას. მან პირველმა, ისტორიულ წყაროდ გამოიყენა თავად იეროგლიფი, განიხილა იგი, როგორც გარკვეული შინაარსის მატარებელი ნიშანი და მასში ჩადებული სემანტიკური კოდი გამოავლინა. აღსანიშნავია ნანა ხაზარაძის ნაშრომები, რომლებიც ეძღვნება იეროგლიფური ლუვიური დამწერლობის როგორც საისტორიო პირველწყაროს კვლევას (მაგალითად, „ლუვიური იეროგლიფების სამყაროში“, თბ., 2006). მას ოსტატურად აქვს გამოყენებული ლუვიური იეროგლიფები შესაბამისი კულტურულ-ისტორიული რეალიების შესასწავლად.

ფართო ერუდიცია და ძველაღმოსავლური ენების ცოდნა, ძველი ახლო აღმოსავლეთის შესწავლის თანამედროვე მიღწევათა კურსში ყოფნა ქალბატონ ნანას ყოველთვის აძლევდა საშუალებას, რომ ახლებურად გაეაზრებინა მცირე აზიის ძველი ისტორიისა და კულტურის საკითხები, ძველაღმოსავლური სოციალური ინსტიტუტები, გვიანხეთური ხანის სამთავროების ოფიციალური იდეოლოგია, ძველანატოლიურ სამყაროსთან ქართველთა ეთნოკულტურული ურთიერთობები და მრავალი სხვა პრობლემა. აღმოსავლეთ მცირე აზიის ეთნოკულტურული და ეთნოპოლიტიკური სურათის ფონზე აქვს შესწავლილი ქალბატონ ნანას ქართველი ხალხის უძველესი ისტორიის, ეთნოგენეზის პრობლემები. მისი ნაშრომები ამ სამყაროს ერთიანი, კომპლექსური კვლევის სპექტრში წარმოგვიდგენენ და დამაჯერებლად ადასტურებენ ამგვარი კვლევის აუცილებლობას. იეროგლიფური ლუვიური წარწერების ქართულ ენაზე თარგმნით, ქალბატონმა ნანამ სამეცნიერო მიმოქცევაში პირველად შემოიტანა და ქართველ საზოგადოებას გააცნო მანამდე სრულიად უცნობი წერილობითი ძეგლები, რომელთა შესწავლით ცოცხლდება ძვ.წ. პირველი ათასწლეულის მცირე აზიის ისტორია. ნ. ხაზარაძის გამოკვლევებით ჩვენს ძველაღმოსავლურ მეცნიერებაში შემოვიდა სრულიად ახალი სფერო — ძვ.წ. I ათასწლეულის მცირე აზიის ისტორიის კვლევა, რითაც, მან, ფაქტობრივად, საფუძველი ჩაუყარა საქართველოში ძველი აღმოსავლეთის შემსწავლელი მეცნიერების მანამდე უცნობ განშტოებას.

სამეცნიერო მოღვაწეობის პარალელურად ნ. ხაზარაძე პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა. მისი თაოსნობით 1990 წელს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში დაარსდა საქართველოს ისტორიისა და ქართული კულტურის ისტორიის კათედრა. კათედრასთანვე დაფუძნდა „ისტორიული ინფორმაციის კომპიუტერული დამუშავების საპრობლემო ლაბორატორია“, რომელმაც „ქართლის ცხოვრების“ I და II ტომების ელექტრონული ვერსიები თანდართული საძიებლებით შექმნა. 2015 წლიდან ნ. ხაზარაძე ხელმძღვანელობდა „არქეოლოგიისა და საქართველოს ისტორიის დეპარტამენტს“. 2009 წლიდან იყო ამ უნივერსიტეტის სრული პროფესორი, წლების მანძილზე კითხულობდა შემდეგ სალექციო კურსებს: საქართველოს ისტორია, ქართული და უცხოური წყაროები საქართველოს ისტორიის შესახებ, ძველი მსოფლიოს ისტორია (საბერძნეთი, რომი), ძველაღმოსავლური ეთნოსები და კავკასია, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, გენდერი და კონფლიქტი, თეორიული კონფლიქტოლოგია, პოლიტიკური კონფლიქტები, კონფლიქტის ფსიქოლოგია, კულტურათა ინტერაქცია. ამზადებდა ბაკალავრებს, მაგისტრებს, დოქტორანტებს. იყო სადისერტაციო ნაშრომების ხელმძღვანელი და ოპონენტი.

ნ. ხაზარაძე იყო 200-მდე სამეცნიერო ფორუმის მონაწილე, მათგან 50 საერთაშორისო (მოსკოვი, ლენინგრადი, ერევანი, ლონდონი, ლეიდენი, ლაიფციგი, პრაღა, სტამბული, ტოკიო და სხვ.). იგი 10-მდე პროექტის ავტორი და მონაწილე იყო.

ნ. ხაზარაძე იყო საქართველოს თუ უცხოური რამდენიმე საზოგადოების წევრი; 2006 წლიდან კი ე. თაყაიშვილის სახ. საქართველოს საისტორიო საზოგადოების თავმჯდომარე.

ნ. ხაზარაძეს საზოგადოებისა და მეცნიერების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის მიღებული ჰქონდა: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსების ს. ჯანაშიას და გ. მელიქიშვილის სახელობის პრემიები (2010); საქართველოს კულტურის ფონდის ე.თაყაიშვილის სახელობის პრემია და ბრინჯაოს მედალიონი (2010); სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის საპატიო სიგელი (2017); ღირსების ორდენი და სხვ.

ნ. ხაზარაძე 300-მდე სხვადასხვაენოვანი (ქართული, რუსული, ინგლისური, გერმანული) სამეცნიერო ნაშრომის, 16 წიგნის, უმაღლესი სასწავლებლებისათვის განკუთვნილი 6 სახელმძღვანელოს ავტორი და თანაავტორი იყო. მათ შორის: „აღმოსავლეთ მცირე აზიის ეთნიკური და პოლიტიკური გაერთიანებები ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში“ (1978); „ საქართველოს ძველი ისტორიის ეთნოპოლიტიკური პრობლემები“ (1984); „Очерки древней истории Месхов“ (1992); „ძველაღმოსავლურ-ქართველოლოგიური ძიებანი“ (2001); „სამხრეთ კავკასია და ახლო აღმოსავლეთი“ (2005); „ლუვიური იეროგლიფების სამყაროში“ (2006); „კავკასიურ-ახლოაღმოსავლური სამყარო“ (2012); „ლუვიური იეროგლიფების სემანტიკური კოდები“, I, II (2017). ამ უაღრესად სოლიდურმა შრომებმა საერთაშორისო აღიარება მოიპოვა ძველი ისტორიის კვლევაში.

ფართოდ ერუდირებულმა, ჭეშმარიტად შემოქმედებითმა, ბრწყინვალე ორატორული ნიჭით დაჯილდოებულმა მეცნიერმა ნანა ხაზარაძემ მნიშვნელოვანი კვალი დატოვა ქართველოლოგიაში. იგი გამორჩეული ადამიანური თვისებების მქონე, გულთბილი, გულღია, მართალი, სიკეთის და ქველმოქმედების მაძიებელი, ქვეყნის ერთგული მოქალაქე, ნამდვილი ინტელიგენტი ქალბატონი ბრძანდებოდა. მან ამ მშვენიერ და კურთხეულ მიწაზე სამშობლოს სამსახურში თავისი კუთვნილი გზა ღირსეულად განვლო.

მისი ნათელი ხსოვნა მარად დარჩება კოლეგების, მეგობრებისა და ახლობლების გულში.

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება.**

---

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია და საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი

**ნანა ხაზარაძე**

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

ლუიზა და როინ მეტრეველები დიდი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაეცვალათ ახლო მეგობარი და კოლეგა, გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, აკადემიკოსი

**ნანა ხაზარაძე**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

მზექალა შანიძე, ეთერ ქემერტელიძე, გუჩა კვარაცხელია, თინათინ სადუნიშვილი, ლია მელიქიშვილი, ქეთევან ნემსაძე ღრმა გულისტკივილით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მსოფლიოში გამოჩენილი მეცნიერი, ისტორიკოსი, ბრწყინვალე პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, კეთილშობილებით, სათნოებით გამორჩეული გულითადი მეგობარი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

**ნანა ხაზარაძე**

და თანაუგრძნობენ ოჯახს და სამძიმარს უცხადებენ საქართველოს საზოგადოებას ამ მძიმე დანაკლისის გამო.

## კვალი წარუშლელი

# ქვეყნის ერთგული მამულიშვილი

### აკადემიკოს ნანა ხაზარაძის ხსოვნას

გარდაიცვალა საქართველოს ისტორიის გამოჩენილი მკვლევარი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი **ნანა ხაზარაძე**.

წავიდა ჩვენგან დიდი ადამიანი, რომლის ცხოვრება და მოღვაწეობა პიროვნული მშვენიერებისა და ერუდიციის ჰარმონიულობის ჭეშმარიტი გამოვლენა იყო. სწორედ ეს გარემოება ქმნიდა იმ ხიბლს, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე ესოდენ ამკობდა და ალამაზებდა მას — ჩვენი საზოგადოების ამ მშვენიერ ქალბატონს და ნიჭიერებით გამორჩეულ მეცნიერსა და პედაგოგს.

1949 წელს საშუალო სკოლის ოქროს მედლით დამთავრების შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. 1951 წელს სწავლა მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის ძველი ისტორიის განხრით განაგრძო, რომელიც 1955 წელს წარჩინებით დაამთავრა. აქ ნიჭიერი ახალგაზრდა უძველეს ენებს დაეუფლა, რამაც საშუალება მისცა თბილისში დაბრუნებისთანავე ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის აკადემიკოს გ. მელიქიშვილის მიერ დაარსებული, ძველი ისტორიის განყოფილებაში დაეწყო მუშაობა, სადაც შედგა ქალბატონი ნანას დებიუტი მეცნიერებაში, მან განვლო გზა რიგითი ლაბორანტობიდან ინსტიტუტის მთავარ მეცნიერ-თანამშრომლობამდე და „ქართველი ხალხის ეთნოგენეზისა და ეთნიკური განვითარების კომპლექსური შესწავლის საინსტიტუტო საპრობლემო ჯგუფის“ ხელმძღვანელამდე. ამ ინსტიტუტში დაიცვა საკანდიდატო (1973 წ.) და სადოქტორო (1985 წ.) დისერტაციები. 1990 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება.

ნ. ხაზარაძის კვლევა-ძიებათა არეალი ურთულესი პრობლემატიკის შემცველი იყო. ეს გახლავთ ძველი კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის ეთნოსების გენეზისის, ამავე დიდი რეგიონის ისტორიული გეოგრაფიის ძველაღმოსავლური დამწერლობებისა და ენის, ეკონომიკისა და სოციალური ურთიერთობების, რწმენა-წარმოდგენების და კულტურის სხვადასხვა პრობლემატიკა; ქართული ტექნიკური ტერმინოლოგია, წმიდა ხის კულტი საქართველოში, ხეთურ-ქართული მითოლოგიური პარალელები, გვიანხეთური ხანის სამეფო-სამთავროები, ბიბლია და ქართველი ხალხის განსახლების ისტორია, თაბალის ისტორია და სხვა საკითხები.

ქალბატონი ნანას ღვაწლის დიდი აღიარების დასტურია ის, რომ 1985 წელს წიგნისათვის „საქართველოს ძველი ისტორიის ეთნოპოლიტიკური პრობლემები (მოსხები)“ მას აკადემიკოს ს. ჯანაშიას სახელობის პრემია მიენიჭა.

ნ. ხაზარაძის მეცნიერულ შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ძვ. წ. I ათასწლეულის იეროგლიფური ლუვიური წარწერების კლასიფიკაციის და სტრუქტურის საკითხების შესწავლას. მან პირველმა, ისტორიულ წყაროდ გამოიყენა თავად იეროგლიფი, განიხილა იგი, როგორც გარკვეული შინაარსის მატარებელი ნიშანი და მასში ჩადებული სემანტიკური კოდი გამოავლინა.

სამეცნიერო მოღვაწეობის პარალელურად ნ. ხაზარაძე პედაგოგიურ საქმიანობასაც ეწეოდა. მისი თაოსნობით, 1990 წელს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში დაარსდა საქართველოს ისტორიისა და ქართული კულტურის ისტორიის კათედრა. კათედრასთან დაფუძნდა „ისტორიული ინფორმაციის კომპიუტერული დამუშავების საპრობლემო ლაბორატორია“, სადაც „ქართლის ცხოვრების“ I და II ტომის ელექტრონული ვერსიები შეიქმნა. 2015 წლიდან ქალბატონი ნანა ხელმძღვანელობდა „არქეოლოგიისა და საქართველოს ისტორიის დეპარტამენტს“, სადაც კითხულობდა სალექციო კურსებს: საქართველოს ისტორია, ქართული და უცხოური წყაროები საქართველოს ისტორიის შესახებ, ძველი მსოფლიოს ისტორია (საბერძნეთი, რომი), ძველაღმოსავლური ეთნოსები და კავკასია, თეორიული კონფლიქტოლოგია, პოლიტიკური კონფლიქტოლოგია, კონფლიქტების ფსიქოლოგია, კულტურათა ინტერაქცია. ხელმძღვანელობას უწევდა ბაკალავრებს, მაგისტრებს და დოქტორანტებს. ნ. ხაზარაძე გახლდათ 200-მდე სამეცნიერო ფორუმის მონაწილე, მათგან 50 საერთაშორისო (მოსკოვი, სანკტ-პეტერბურგი, ლონდონი, ლაიფციგი და სხვ.).

ნ. ხაზარაძე გახლდათ საქართველოს და უცხოური საზოგადოებების წევრი. 2006 წლიდან კი იგი ე. თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების თავმჯდომარედ იქნა არჩეული.

ქალბატონ ნანა ხაზარაძეს მეცნიერების განვითარების საქმეში შეტანილი განსაკუთრებული ღვაწლისათვის მიღებული ჰქონდა: ე. თაყაიშვილის, ს. ჯანაშიას და გ. მელიქიშვილის სახელობის პრემიები; სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის საპატიო სიგელი, „ღირსების ორდერი“ და სხვა.

ნ. ხაზარაძე 300-მდე სხვადასხვაენოვანი სამეცნიერო ნაშრომის, 16 წიგნის, 6 სახელმძღვანელოსა და სხვა სოლიდური შრომების ავტორი გახლავთ.

ქალბატონი ნანა, როგორც სახელოვანი დასტაქრის — აკადემიკოს ეგნატე ფიფიას ძირძველი ქართული ოჯახის წევრი, ღირსეულად აგრძელებდა დიდ ოჯახიშვილ ქართველ მანდილოსანთა საუკეთესო ტრადიციებს — ოჯახის გაძღოლას ბრწყინვალედ უთავსებდა აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას.

ბოლო წლებში არაერთი უბედურება დაატყდა თავს ქალბატონ ნანას. მაგრამ ყველაფერი შრომამ გადაატანინა.

უდიდესი გულისტკივილი განიცადა საზოგადოებამ დიდი ქალბატონის, გამორჩეული ადამიანური თვისებების მქონე, გულთბილი, გულღია, მართალი, კეთილი, ქველმოქმედი, ქვეყნის ერთგული მამულიშვილის ნანა ხაზარაძის გარდაცვალებით.

აკადემიკოსი ნანა ხაზარაძე ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებს ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, როგორც მეცნიერი და ახალგაზრდობის აღმზრდელი. მისი ღვაწლი ფასდაუდებელია ქვეყნის წინაშე. თანამედროვეობისათვის მეტად ძნელია ქალბატონ ნანა ხაზარაძეზე წარსულში საუბარი.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს ქალბატონი ნანა ხაზარაძის სული, ვალმოხდილი მშობლიური ქვეყნისა და ერის წინაშე.

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**

---

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიისა და არქეოლოგიის დეპარტამენტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა დეპარტამენტის უცვლელი ხელმძღვანელი, უკეთილშობილესი, უმშვენიერესი ქალბატონი, აკადემიკოსი

## ნანა ხაზარაძე

და სამძიმარს უცხადებენ ოჯახსა და სრულიად საქართველოს.

## ხსოვნა

საქართველოს კულტურის ფონდი მწუხარებას გამოთქვამს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ისტორიისა და ქართული კულტურის ისტორიის მიმართულების ხელმძღვანელის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსის, ჭეშმარიტი მამულიშვილისა და საზოგადო მოღვაწის

## ნანა ხაზარაძის

გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს ოჯახს, სანათესაოს და სრულიად საქართველოს.

---

საქართველოს ქალთა საბჭო უღრმესი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ქალთა მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწე, ქვეყნის ბედზე დამაშვრალი, მისი ყველა ტკივილის ნიადაგ გამზიარებელი და ჟამთააღმწერელი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი

## ნანა ხაზარაძე

და სამძიმარს უცხადებს ოჯახს და სრულიად საქართველოს.

---

„საერთაშორისო ასოციაცია — საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისთვის“ უღრმეს გულისტკივილს გამოხატავს, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, ასოციაციის მეგობარი, კეთილშობილი, უმშვენიერესი ქალბატონი

## ნანა ხაზარაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს, ნათესავებსა და სამეგობროს.

---

საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს, რომ გარდაიცვალა ასოციაციის გამგეობის წევრი და უშურველი თანამდგომი, წიგნის დიდი ქომაგი, უსათნოესი ქალბატონი, გამოჩენილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, აკადემიკოსი

## ნანა ხაზარაძე

და უსამძიმრებს მის ოჯახსა და ახლობლებს.

---

უახლოესი ნათესავები გიორგი, თემურ, მამუკა, დავით, კახა, ივა ხაზარაძეები უდიდესი გულისტკივილით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ქართული მეცნიერების ღირსეული წარმომადგენელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სიმონ ჯანაშიას, ექვთიმე თაყაიშვილისა და გიორგი მელიქიშვილის პრემიების ლაურეატი, საქართველოს ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი

## ნანა ვლადიმერის ასული ხაზარაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემია თანაუგრძნობს ამავე აკადემიის წევრს, ბატონ თამაზ ტატიშვილს მეუღლის, ღვაწლმოსილი პედაგოგის, ქალბატონი

## მერი ტატიშვილის

გარდაცვალების გამო.

დაკრძალვა 5 II, 14 სთ. გამოსვენება თბილისის ვერის სასაფლაოს ეკლესიიდან.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
კოსტავას ქ. №21. 599 79-76-79; 568 82-09-84

სანთელი

# ქალბატონი

## ნანა ხაზარაძის ხსოვნას

„ქალბატონი“, ეს სიტყვა თავისი ყველაზე კეთილშობილური აზრით მიესადაგება ნანა ხაზარაძის პიროვნებას. იგი ყველგან — საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მეცნიერებაში, პედაგოგიურ მოღვაწეობასა და ადამიანებთან უბრალო ურთიერთობაში ამ მაღალი ეპითეტის განსახიერებას წარმოადგენდა. იგი იყო სამშობლოს დიდების მოსურნე ქალბატონი და თავადაც ამ დიდებისთვის დაუცხრომლად მოღვაწე.

ნანა ხაზარაძეს შეეძლო გონიერი სიტყვით, დახვეწილი მანერებითა და მისთვის დამახასიათებელი შეუდარებელი ქალური მომხიბვლელობით ნებისმიერ საერთაშორისო არენაზე წარმოეჩინა თავისი ქვეყანა.

ჩვენ, ყველანი, რომელნიც რაღაც დონეზე დაკავშირებული ვიყავით ამ ადამიანთან, ვხარობდით და ვამაყობდით მასთან ურთიერთობით, ის ქმნიდა დამოკიდებულების ისეთ ატმოსფეროს, რომელიც გაჯერებული იყო უშუალობით, გულწრფელობით და იმედითაც კი, რომელსაც აჩენს ძლიერი ადამიანის გვერდით ყოფნა.

ქალბატონი ნანას მეცნიერულმა მოღვაწეობამ, რომელიც მიეძღვნა სამხრეთ კავკასიისა და ძველი აღმოსავლეთი კულტურული კავშირების გამომზეურებასა და შესწავლას მნიშვნელოვანი კორექტივი შეიტანა ამ მიმართულებით წარმოებული არაერთი საერთაშორისო მნიშვნელოვანი საკითხის გადაჭრაში.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს და ზოგადად, სტუდენტ ახალგაზრდობას ნანა ხაზარაძის სახით დააკლდა თვალსაჩინო მეცნიერი, ბრწყინვალე პედაგოგი და სანიმუშო აღმზრდელი, ხოლო ჩვენ — მის ახლო თუ ცოტა მორიდებით განმდგარ ადამიანებს, მრავალმხრივი მშვენიერებით მოსილი ქალბატონი, რომლის მსგავსნი მუდამ წარმოადგენდნენ და წარმოადგენენ ჩვენი სიამაყის დაუშრეტელ წყაროს.

ელდარ ნადირაძე


## წარმატებულ ბიზნესმენებო, გონიერო ქველმოქმედნო,

### მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).


## დადგა ყვითელი ლორის წელიწადი

**ჩინური ახალი წელი (ჩუნჯიე) ცნობილი როგორც მთვარის ახალი წელი, ან გაზაფხულის ფესტივალი ჩინურ ტრადიციულ დღესასწაულთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია. იგი გარდამავალია და დღეს დადგება.**

ახალი წლის აღნიშვნა საკმაოდ ხანგრძლივი დროის მანძილზე გრძელდება და მოიცავს დღესასწაულთა მთელ სერიას, დაწყებული ახალი წლის დადგომიდან, რომელიც აღინიშნება ჩინური კალენდრის წლის პირველი თვის პირველ დღეს, ანუ, ზამთრის ბუნიობის შემდეგ მეორე ახალი მთვარის დღეს, და დამთავრებული ფარნების ფესტივალით (თვის მეთხუთმეტე დღეს).

## THE TELEGRAPH-მა საქართველო 2019 წლის 10 საუკეთესო ტურისტულ მიმართულებას შორის დაასახელა

„საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი ადგილია. მაღალი მთებით, უძველესი მონასტრებით, სტუმართმოყვარე ხალხით ცნობილი საქართველო ღვინის სამშობლოა, სადაც შეგიძლიათ, ტურისტულ ბილიკებს გაჰყვეთ და ისიამოვნოთ.

**გასულ წელს საქართველოში 8 მილიონზე მეტი საერთაშორისო ვიზიტი შედგა. ლონდონსა და ქუთაისს შორის დანიშნული პირდაპირი ავიარეისის შედეგად 2019 წელს საქართველოს თოვლით დაფარულ მწვერვალებს, მდელოებზე ხალიჩასავით მოფენილ ვენახებს და ლამაზ ქალაქებს ბევრი სტუმარი გამოუჩნდება“,** — წერს ჟურნალისტი გევინ ჰაინესი.

ბრიტანელმა ჟურნალისტმა საქართველოში ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის საშუალებით იმოგზაურა.

## რომის პაპი არაბეთს ეწვია

**რომის პაპი** ფრანცისკე არაბეთის გაერთიანებულ საემიროებს ეწვია. ეს არის რომაელი პონტიფიკოსის პირველი ვიზიტი არაბეთის ნახევარკუნძულზე. ვატიკანიდან განხორციელებულ ვიდეომიმართვაში, რომის პაპმა განაცხადა, რომ „ამ ვიზიტით რელიგიათაშორის ისტორიაში ახალი ფურცელი გადაიშლება, დასტურად იმისა, რომ ჩვენ ვართ დები და ძმები, მიუხედავად ჩვენი განსხვავებულობისა“. საემიროების მოსახლეობის უმრავლესობა მუსულმანია, თუმცა დაახლოებით 1,2 მლნ ქრისტიანი ცხოვრობს.

პონტიფიკოსის ვიზიტი 5 თებერვლამდე გასტანს. საემიროების დედაქალაქ აბუ დაბიში ის დაესწრება რელიგიურ კონფერენციას იუდეველ და ქრისტიან ლიდერებთან ერთად. ვიზიტის მიწურულს პაპი მესას ჩაატარებს, რომელსაც დაახლოებით 135 000 მორწმუნე დაესწრება.

## სამარხი, სადაც 50 მუმია ინახებოდა

**ეგვიპტეში** უძველესი სამარხი აღმოაჩინეს, რომელშიც 50 კარგად შენახული მუმია იყო. სამარხი ქვეყნის ცენტრალურ ნაწილში, მინიას პროვინციაში, ტუნა ეკ-გაბალის რაიონში წარმოებული გათხრების დროს 9 მეტრის სიღრმეზე აღმოაჩინეს. 50 მუმია, მათ შორის 12 ბავშვის ნეშტი 4 საფლავში იყო განაწილებული. ზოგიერთი მუმია ქსოვილში იყო გახვეული, ზოგი კი სარკოფაგში იყო ჩასვენებული. გათხრების დროს ასევე აღმოჩენილი იქნა დაკრძალვის ნიღბები და უძველესი კერამიკული ნივთები.

არქეოლოგებს მიაჩნიათ, რომ სამარხი ეგვიპტის ბერძნულ-რომაულ პერიოდს მიეკუთვნება (ჩვენს წელთაღრიცხვამდე 305-330 წლები). მათი მოსაზრებით, ნეშტები შესაძლოა, იმ ადამიანებს ეკუთვნოდეთ, რომლებიც მნიშვნელოვან თანამდებობებს იკავებდნენ, ასევე მათ ოჯახის წევრებს.


საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. №21

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
299-02-10
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.



„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, წაიკითხე, ისიამოვნე!



**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.6554; ევრო - 3.0452;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4677
100 რუბლი - 4.0559; თურქული ლირა - 0.5033;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5666;
1000 სომხური დრამი - 5.4470.

**ამინდი 5 თებერვლისთვის**
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე -1, დღე +10
მთიანი რაიონები - ღამე -8, დღე +12
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +4, დღე +19
მთიანი რაიონები - ღამე -3, დღე +16
თბილისი: ღამე +2, დღე +9

**დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:**
ტელ: 299-02-10,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge